ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 186 (2102) | ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 1995 წელი. | ფასი 25 თეთრი.

პარლამენტი

კომიტეტებს განსაკუთრებული უფლებები ენიჭებათ

12 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია უძღვებოდა.

როგორც ცნობილია, რამდენიმე საარჩევნო ოლქში 3 დეკემბერს მოეწყო პარლამენტის არჩევნების მეორე ტური, რომლის შედეგების მიხედვით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს 8 ახალი წევრი შეემატა. პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა მათი უფლებამოსილება ცნო, კერძოდ, თბილისის მთაწმინდის ოლქში — მამუკა არეშიძის, საბურთალოს — ილია ხუციშვილის, გურჯაანის — მარსელ მაჭავარიანის, ლაგოდეხის — ამირან ცინცაძის, ბორჯომის — ვლადიმერ ქარჩულაძის, ზესტაფონის — ზურაბ ჩხეიძის; პარლამენტის წევრები მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიით გახდნენ ავთანდილ ველაძე და ვახტანგ კვინიკაძე, ამგვარად, დღეისათვის რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 230 დეპუტატი დაიცავს ამომრჩეველთა ინტერესებს.

პარლამენტმა აპარატის უფროსის თანამდებობაზე ერთხმად დაამტკიცა ხათუნა გოგორიშვილის კანდიდატურა.

დღის პირველ ნახევარში პარლამენტმა განიხილა აგრეთვე საკითხი კომიტეტებში ფრაქციათა წარმომადგენლობის კვოტების შესახებ. ჯერჯერობით პარლამენტში ხუთი ფრაქციაა. ესენია — „მოქალაქეთა კავშირი", „ეროვნულ-დემოკრატი", „აღორძინების კავშირი", „მაჟორიტარი" და „იმედი". კომიტეტებში ფრაქციათა ზღვრული წარმომადგენლობის ნორმების შესახებ მიღებული დადგენილების თანახმად, არც ერთ ფრაქციას არა აქვს უფლება კომიტეტებში ზღვრულ რაოდენობაზე მეტი წევრი მიაღებინოს. თითოეულ კომიტეტში ორი სარეზერვო ადგილია გათვალისწინებული პარლამენტის იმ წევრთათვის, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ იქნებიან გაერთიანებული.

სხდომაზე პარლამენტარებს დაურიგდათ საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება პარლამენტისადმი მთავრობის წევრთა დანიშვნაზე თანხმობის შესახებ. სულ წარმოდგენილია 18 მინისტრის კანდიდატურა. როგორც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, კანდიდატურების მოსმენა და განხილვა თავდაპირველად კომიტეტებში მოეწყობა. თუ ფრაქციები გამოთქვამენ კანდიდატებთან შეხვედრის სურვილს, მათ ეს შესაძლებლობა მიეცემათ. მინისტრის თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნაზე პარლამენტის თანხმობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება საკომიტეტო მოსმენის დასკვნას.

მინისტრთა პოსტებზე დასახელებულ კანდიდატურათა მოსმენა კომიტეტებში 13 დეკემბრიდან დაიწყება. პირველი ირაკლი მენაღარიშვილი წარსდგება კომიტეტის წინაშე. მისი კანდიდატურა დასახელებულია ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად. მოსმენაზე, რომელიც ძველი პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება, დასწრების საშუალება მიეცემა ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც თხოვნით მიმართავს პარლამენტის აპარატის უფროსს. იმავე დღეს მოეწყობა შეხვედრები ვლადიმერ პაპავასთან, ბაკურ გულუასა და დავით იაკობიძესთან, რომელთა კანდიდატურები შესაბამისად ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ფინანსთა მინისტრების თანამდებობებზეა დასახელებული.

14 დეკემბერს მოსმენა კვლავ განახლდება. პარლამენტართა წინაშე წარსდგებიან ვარდიკო ნადიბაიძე, შოთა კვირაია, კახა თარგამაძე და ნინო ჩხობაძე, რომლებიც შესაბამისად თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების ხელმძღვანელთა თანამდებობებზე არიან დასახელებული.

ამის შემდეგ სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

შესვენების შემდეგ საქართველოს პარლამენტის პლენარულმა სხდომამ მუშაობა გააგრძელა. საერთო გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი — საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე — გადაიდო.

შემდეგ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა პარლამენტის კომიტეტების პერსონალური შემადგენლობა. ამიერიდან კომიტეტებს შეუძლიათ რეგლამენტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.

ნინო თათრულაძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს კანონი

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ

მუხლი 1.
აღმასრულებელ სახელმწიფო ხელისუფლებას საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს უშუალოდ, აგრეთვე სამინისტროების, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების მეშვეობით, რისთვისაც აქტიურად იყენებს სათათბირო და საკონსულტაციო ინსტიტუტებს.

მუხლი 2.
აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციას, ურთიერთობას საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს სახელმწიფო კანცელარიის მეშვეობით.

სახელმწიფო კანცელარიას ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი. სახელმწიფო კანცელარიის დებულებას სახელმწიფო მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 3.
საქართველოს სამინისტროებია:
განათლების;
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის;
ეკონომიკის;
ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობების;
თავდაცვის;
იუსტიციის;
კავშირგაბმულობისა და ფოსტის;
კულტურის;
ლტოლვილთა და განსახლების;
ურბანიზაციისა და მშენებლობის;
საგარეო საქმეთა;
სახელმწიფო უშიშროების;
სახელმწიფო ქონების მართვის;
სოფლის მეურნეობისა და სურსათის;
სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვის.

მუხლი 4.
სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

მინისტრი პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე მინდობილი მმართველობის სფეროს მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

მინისტრის პირველ მოადგილეს მინისტრის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. მინისტრის მოადგილეებს ნიშნავს მინისტრი სახელმწიფო მინისტრთან შეთანხმებით. მინისტრის დავალებით ერთ-ერთი მოადგილე ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

მუხლი 5.
მინისტრის სათათბირო ორგანოა სამინისტროს კოლეგია, რომლის შემადგენლობაში არიან მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, აგრეთვე მინისტრის მიერ დანიშნული სხვა თანამდებობის პირები და სპეციალისტები.

მუხლი 6.
სამინისტროს უფლებამოსილებანი, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 7.
აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებია:
ა) სახელმწიფო დეპარტამენტები:
ახალგაზრდობის საქმეთა;
გეოლოგიის;
მატერიალური რეზერვების;
საარქივო;
სატყეო მეურნეობის;
სახელმწიფო საზღვრის დაცვის;
სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის;
სპორტის;
სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის;
ტურიზმის;
ბ) მთავარი სამმართველოები:
გეოდეზიისა და კარტოგრაფიის;
დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის;
გ) ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია.

მუხლი 8.
აღმასრულებელ სახელმწიფო ხელისუფლებას განეკუთვნებიან და სახელმწიფო მმართველობისა და სამეურნეო-კულტურულ ფუნქციებს ახორციელებენ:
ა) კორპორაციები:
პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის;
სათბობენერგეტიკის;
საინფორმაციო-საგამომცემლო (საქინფორმი);
ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის;
ბ) დეპარტამენტები:
საავტომობილო ტრანსპორტის;
საზღვაო სანაოსნოს;
საქართველოს რკინიგზის;
საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის;
საქგაზის;
საქენერგოს;
საქნავთობის;
საქნახშირის;
გ) სახელმწიფო კონცერნი საქავტოგზა;
დ) სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია საქნავთობპროდუქტები.

მუხლი 9.
მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. ამ ორგანოთა უფლებამოსილებანი და სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის აქტებით.

მუხლი 10.
აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობათა რეგულირების მიზნით საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ქმნის საკოორდინაციო ორგანოებს, სათათბირო და საკონსულტაციო სამსახურებს, რომელთა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 11.
პარლამენტის მიერ დამტკიცებულ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა და ახალი ორგანოების შექმნა ხორციელდება კანონით.

მუხლი 12.
საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა მთავრობა, რომლის შემადგენლობაში არიან სახელმწიფო მინისტრი და მინისტრები.

მთავრობის სხდომებს იწვევს და უძღვება საქართველოს პრეზიდენტი ან მისი დავალებით — სახელმწიფო მინისტრი.

მუხლი 13.
კანონის მიღების შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:
გაუქმდეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატი,
გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატი,
შეიქმნას სახელმწიფო კანცელარია სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით.
გაუქმდეს ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრო,
გაუქმდეს საგარეოეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტი,
შეიქმნას ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო,
გაუქმდეს მრეწველობის სამინისტრო,
შეიქმნას მრეწველობის დეპარტამენტი,
მრეწველობის დეპარტამენტი დაექვემდებაროს ეკონომიკის სამინისტროს,
გაუქმდეს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი,
შეიქმნას ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო,
შეიქმნას საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი,
საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი დაექვემდებაროს თავდაცვის სამინისტროს.
გაუქმდეს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი,
შეიქმნას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო,
საბაჟო დეპარტამენტი დაექვემდებაროს ფინანსთა სამინისტროს,
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია დაექვემდებაროს ფინანსთა სამინისტროს,
გაუქმდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტი,
შეიქმნას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი,
მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი დაექვემდებაროს ეკონომიკის სამინისტროს,
კავშირგაბმულობის სამინისტროს გადაერქვას სახელწოდება და დაერქვას კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო.
გარემოს დაცვის სამინისტროს გადაერქვას სახელწოდება და დაერქვას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო,
გაუქმდეს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო,
შეიქმნას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო,
პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია დაექვემდებაროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს,
მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაცია დაექვემდებაროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს,
გაუქმდეს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,
შეიქმნას სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო,
გაუქმდეს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი,
შეიქმნას სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი,

მუხლი 14.
საქართველოს რკინიგზის, საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის, საზღვაო სანაოსნოს, საავტომობილო ტრანსპორტის, დეპარტამენტების თავმჯდომარეთა, აგრეთვე, სპეცტრანსის ხელმძღვანელის შემადგენლობით შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო.

მუხლი 15.
საქენერგოს, საქგაზის, საქნავთობის, საქნავთობპროდუქტების, საქნახშირის შემადგენლობით შეიქმნას სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაცია.

მუხლი 16.
საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო მინისტრის, ფინანსთა და იუსტიციის მინისტრების დასკვნების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წინადადებებს აღმასრულებელი ხელისუფლების იმ სტრუქტურული ერთეულების შესახებ, რომელთა სამართლებრივი მდგომარეობა არ აისახა ამ კანონში.

მუხლი 17.
გაუქმებული სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატების ქონებისა და გამოთავისუფლებული მუშაკების დასაქმების, კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვეტენ სახელმწიფო სალიკვიდაციო კომისიები.

მუხლი 18.
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 8 დეკემბერი.

ვაშინგტონი დაინტერესებულია ამიერკავკასიაში კონფლიქტების მოგვარებით

საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქინფორმს აცნობა, რომ 8 დეკემბერს შედგა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თედო ჯაფარიძის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს საფრთხის შემცირების პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორთან, ქალბატონ სუზან კოხთან.

განიხილეს კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პრობლემები, კერძოდ, კავკასიური კონფლიქტების, უწინარესად, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივები, ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებათა ხელშეკრულების ფლანგური კვოტების პრობლემა, რეგიონული უსაფრთხოების და თანამშრომლობის სხვა საკითხები და პროექტები, მათ შორის, რეგიონის ენერგეტიკული რესურსების ათვისებისა და ნავთობსადენების საკითხები და სხვ.

შეხვედრისას ქალბატონმა სუზან კოხმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო მზარდ ყურადღებას უთმობს ამიერკავკასიის რეგიონს, და დაინტერესებულია აქ არსებული კონფლიქტების მოგვარებით. მან ხაზი გაუსვა, რომ დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ეს პოლიტიკა დღესაც უცვლელია. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ კავკასიაში მიმდინარე პროცესები და იქ არსებული პრობლემები, როგორიცაა მიმდინარე კონფლიქტები, რეგიონული ნავთობსადენების საკითხი, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებათა ხელშეკრულების ფლანგური კვოტების პრობლემა, ერთიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, ქალბატონი კოხის აზრით, დღეს ბოსნიისა და სხვა ევროპული კონფლიქტების მოწესრიგების პერსპექტივების ფონზე ხელსაყრელი სიტუაცია იქმნება სხვა კონფლიქტების, მათ შორის, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვისაც.

• • •

დემირელის მადლობა გაპონოვის პრემიის მინიჭების გამო

თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში უფუქ თევფიქ ოქიაიუზი 8 დეკემბერს საქმიანი ვიზიტით ეწვია ქუთაისს. ვიზიტის მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება.

ქალაქის მერმა თემურ შაშიაშვილმა ელჩი მიიწვია ქუთაისის ჩაის, შალის ქსოვილების ფაბრიკებში, გააცნო ის პრობლემები, რომლებიც აფერხებენ მათ ამოქმედებას. ელჩი ასევე ეწვია სავაჭრო-სამრეწველო პალატას, უძველესი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტს, სადაც შეხვდა და გაესაუბრა თურქ და ქართველ სტუდენტებს.

ბატონმა უფუქ თევფიქ ოქიაიუზმა დახმარება აღუთქვა მასპინძლებს, განაცხადა, რომ ძალისხმევას არ დაიკლებს, რათა დააინტერესოს თურქი მეწარმეები ქართველ კოლეგებთან სათანამშრომლოდ.

თურქეთის ელჩმა ბორის გაპონოვის სახელობის ფონდის თავმჯდომარეს ილია გაგულაშვილს გადასცა პრეზიდენტ სულეიმან დემირელის წერილი, სადაც იგი მადლობას უხდის ბატონ გაგულაშვილსა და ფონდის სხვა წევრებს, მისთვის ბორის გაპონოვის პრემიის მინიჭების გამო.

ნანა ბელაშვილი,
საქინფორმის კორ.

განსჯა

ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა ჩვენს ხელთაა

დღეს, როდესაც საქართველოში მრეწველობის ყველა დარგის მუშაობის გაცილებით უკეთესი პირობები იქმნება, ვიდრე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყო, გადაუდებლად და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკის უნიკალური შესაძლებლობები მთელ სამეურნეო საქმიანობაში, განსაკუთრებით კი იმ საწარმოებში, რომელთა ანალოგებიც ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში არ არის. ასეთი დარგებია — წიაღისეულ სიმდიდრეთა მომპოვებელი, ფერადი მეტალურგია, ტყიბულისა და ჭიათურის სამთო საწარმოები, ქიმიური, ნავთობქიმიური, ენერგეტიკული (ჰიდრორესურსები) და სხვა მრავალი.

ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე არის ისიც, რომ მრეწველობის ჩამოთვლილ დარგებში გვყავს მაღალკვალიფიციური საინჟინრო და სამეცნიერო კადრები.

თავის დროზე საბჭოთა კავშირის ერთიან ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირებულ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, შეუძლებელია ერთი რომელიმე დარგის დამოუკიდებლად, სხვასთან ურთიერთობის გარეშე, განვითარება. არაპროფესიულია დარგების ენერგიის ან სხვა ნედლეულის მხოლოდ მწარმოებელ ან მხოლოდ მომხმარებელ დარგებად დიფერენცირება. ისინი ერთდროულად ერთიც არის და მეორეც. ამის საუკეთესო მაგალითია მძიმე მრეწველობა და ენერგეტიკა.

ენერგეტიკა ელექტროენერგიის მარტო მწარმოებელი კი არ არის, არამედ, ამავე დროს, მძიმე მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებელიცაა (ამასთან, ელექტროენერგიის ყველაზე გამფლანგველი მომხმარებელიც თვით ენერგეტიკაა), იგივე ითქმის მძიმე მრეწველობაზე, რომელიც ელექტროენერგიის არა მარტო ყველაზე დიდი მომხმარებელია (50-60 პროცენტი მთელი რესპუბლიკის მოხმარებისა), არამედ მისი მწარმოებელიცაა.

ეს — კონკრეტიკა.

ახლა, აქედან გამომდინარე,— გლობალური პრობლემა, რომელიც დარგთაშორის ურთიერთობას ეხება.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სახალხო მეურნეობის დარგები ერთმანეთს მჭიდროდ კი არ არის მორგებული, არამედ მათ შორის რჩება ერთგვარი „არავის ტერიტორია", რომელიც დარგთაშორის კოოპერაციით უნდა იქნას ათვისებული. სამწუხაროდ, ჩვენ არც ასეთი კოოპერაცია და არც ამგვარ ურთიერთობათა რაიმე სხვა მექანიზმი გაგვაჩნდა.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი იყო ის, რომ ეკონომიკას ვხელმძღვანელობდით უწყებათა მიხედვით ბლოკებად დაყოფის პრინციპით. ასეთი დაყოფის წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის და ვაყენებდი წინადადებას პრობლემების მიხედვით მუშაობის შესახებ, რადგან არ არსებობს პრობლემა, რომელიც მრეწველობის დარგების ნებისმიერ ბლოკს გამჭოლად არ გასდევდეს.

იგივე ენერგეტიკა ამის მაგალითია.

ასე უკავშირდება კონკრეტიკა ზოგად პრობლემას.

დღეს დარგთაშორის ურთიერთობების და ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის ყველაზე აქტუალური საკითხი, ჩემი აზრით, არის ის, რომ მძიმე მრეწველობის დარგებმა უზრუნველყონ ენერგეტიკის ყველა ობიექტი ენერგოშემცველებით, შევწყვიტოთ გარედან მათი შემოტანა; ავამოქმედოთ მათთან არსებული ბლოკ-სადგურები, აღვჭურვოთ თანამედროვე ტექნიკით ქალაქების და რაიონების თბომეურნეობები ადგილობრივი ენერგოშემცველების გამოყენებით. შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება ელექტროენერგიის მოხმარება.

ყველა ქვეყანაში ენერგეტიკა პრიორიტეტული დარგია, ჩვენი ქვეყნისათვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მისი დეფიციტი მაქსიმალურად დიდია (ვაწარმოებდით 42 მლნ კილოვატსაათს დღე-ღამეში და მოვიხმარდით 60 მილიონს, ე. ი. შემოგვქონდა მთელი მოხმარების 30 პროცენტი), ძირითადი მომწოდებელი იყო სომხეთი, რომელიც ატომური სადგურის ერთი ბლოკის მიერ გენერირებულ 400 მეგავატს მთლიანად ჩვენ გვაწვდიდა. ამიერკავკასიის ორივე რესპუბლიკა — სომხეთი, აზერბაიჯანი — არა მარტო აბალანსებდა საკუთარ მოთხოვნილებას ელექტროენერგიით, არამედ გამოიმუშავებდა იმაზე 30-40 პროცენტით მეტს, რაც სჭირდებოდა.

დღეს საქართველოს ელექტროსადგურები დღე-ღამეში 20-22 მილიონ კილოვატსაათს მაინც გამოიმუშავებს, რაც წინა წლების დონის 60 პროცენტია. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში (გარდა წლევანდელისა) ძირითადი ფონდების არც ერთი კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა, ეს არ უნდა იყოს ცოტა, მაგრამ აშკარად არასაკმარისია.

აქვე იმის თქმაც მიმაჩნია საჭიროდ, რომ ელექტროენერგიის გამომუშავების საერთო ბალანსში თბოსადგურის წილი — 30-50 პროცენტი — საკმაოდ აძვირებს ელექტროენერგიის ფასს. ენერგიაშემცველების ღირებულების ზრდის ტენდენციის პარალელურად აუცილებლად გაიზრდება ელექტროენერგიის ფასიც. ასეთია უახლოესი მომავლის (1-3 წლის) პერსპექტივა და ჩვენი საქმიანობაც ამ რეალობას უნდა მივუსადაგოთ.

უწინარეს ყოვლისა, მომხმარებლებისაგან უნდა ამოვიღოთ დახარჯული ენერგორესურსების ღირებულება, მაგრამ არა იმ მეთოდით, რომელსაც დღეს ვიყენებთ, ანუ ადმინისტრაციული და ორგანიზაციული ღონისძიებების მეშვეობით.

ყველასათვის ნათელია (ამაზე არაერთხელ დაწერილა), რომ ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ფული არც მოსახლეობას აქვს, არც საწარმოებს გააჩნიათ, რადგან ან ფაქტობრივად გაჩერებულია, ან თუ მუშაობს, არარენტაბელურად.

რა ვქნათ?

ყველა პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ავამუშავებთ მძიმე ინდუსტრიას (მეტალურგიას, ქიმიას, მანქანათმშენებლობას), რომელსაც მიაქვს მთელი მოხმარებული ელექტროენერგიის 60 პროცენტი, სადაც მრეწველობაში დასაქმებული მუშახელის 70 პროცენტი მუშაობს. მაგრამ ამ დარგის საწარმოთა ამოქმედება უნდა მოხდეს ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისების საფუძველზე და მათი კოოპერაციით სხვა შესაბამის დარგებთან.

ამ მხრივ სანიმუშო მაგალითად გამოდგება ტყიბულის მეშახტეთა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ურთიერთობა, რამაც საშუალება მისცა ორივე საწარმოს იმუშაოს ერთობლივად, ეკონომიკურად გამართლებული კოოპერაციით. მაგალითად, თუ ადრე, მთელი 100 წლის განმავლობაში „ფეროს" ტექნოლოგიურ პროცესებში გამოიყენებოდა რუსეთიდან და უკრაინიდან შემოტანილი კოქსი, რომლის ერთი ტონა ქარხანაში მოტანით ჯდებოდა 110-120 დოლარი, დღეს ქარხნისა და ინსტიტუტის ინჟინერთა მოღვაწეობით კოქსი, როგორც აღმდგენელი, შეცვლილია ტყიბულის ნედლი ნახშირით, რომლის ფასი მხოლოდ 20 ლარია.

ამავე პრინციპით გათვალისწინებულია სამშენ მასალათა საწარმოთა (ცემენტის ქარხნების, რუბეროიდისა და სხვა), ასევე ტყიბულის მეშახტეთა კოოპერაცია. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოყენებითი დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომელთა უშუალო მონაწილეობითაც დაინერგება ახალი ტექნოლოგიური პროცესები, საწარმოსთან ერთად გაინაწილებენ მოგებას, შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებული აღარ იქნებიან.

მეტალურგიისა და „საქსახმეტალურგპროექტის" ინსტიტუტების თანამშრომლებმა ზესტაფონის „ფეროში", ჭიათურასა და ტყიბულში უკვე განახორციელეს ასეთი სამუშაოები. ახლებური მიდგომა დაწყებულია და იგი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ამას სჭირდება იმ სახელმწიფო სტრუქტურის სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომელიც კარგად არის გარკვეული მრეწველობის ყველა დარგის პრობლემებში.

დღევანდელი ჩვენი საქმიანობის ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ვმოქმედებთ უწყებრივად, კვლავ გართული ვართ ტექნიკური რომანტიკით, უყურადღებოდ ვტოვებთ დარგთაშორის ურთიერთობის პრობლემებს და, აქედან გამომდინარე, ვერ ვირჩევთ სწორ სტრატეგიას. უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი ჩვენი სურვილი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში ჩვენი მოქმედების არაადეკვატურია. ამის მაგალითია ეკონომიკური ბლოკისა და სამეურნეო საქმიანობის სტრუქტურების შეუთანხმებელი მუშაობა. ეს არ ეხება პიროვნებებს, რადგან ასეთია ჩვენს მიერ შექმნილი მუშაობის მოდელი, რომელსაც სასწრაფოდ შეცვლა სჭირდება.

მხედველობაში მაქვს აღმასრულებელ სტრუქტურებში, ჩემი აზრით, არასწორად გაკეთებული აქცენტები ფინანსებზე, მაშინ, როდესაც მეორე პლანზე გვაქვს გადატანილი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც ქმნის ქვეყნის ეკონომიკას.

სწორი საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის განხორციელება, რა თქმა უნდა, აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობისათვის, მაგრამ სავსებით არასაკმარისია ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის.

სწორედ აქ, ეკონომიკური რეფორმების საქმეში არის აუცილებელი ის კოოპერაცია, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, მაგრამ პრაქტიკაში მოხდა პირიქით — ფინანსისტები, რომლებმაც ეკონომიკური რეფორმის განხორციელება იკისრეს, ცალკე ბანაკად ჩამოყალიბდნენ, მეურნეობაში ჩახედული ხალხი — ცალკე ბანაკად. ჩვენს სინამდვილეში ამას ბლოკებად დაყოფა ჰქვია.

ამიტომაც არ ჩანს ის შედეგები, რომლებსაც რეფორმისაგან ველოდებოდით.

ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ მძიმე მრეწველობის ისეთი სტრუქტურები, რომლებიც მაქსიმალურად ტევადია მატერიალური თუ ენერგოდანახარჯებით. ადრე მათ რენტაბელობას უზრუნველყოფდა შესაბამისი საკავშირო სამინისტროების საფინანსო წყაროები.

დღეს ეს აღარ არის, სამაგიეროდ გაგვიჩნდა ორი დიდი პრობლემა: როგორ უზრუნველვყოთ ეს საწარმოები ენერგიით და როგორ გავხადოთ ისინი სიცოცხლისუნარიანი. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, თუ ტრადიციული

(დასასრული მე-3 გვ.)

კომიტეტები

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ზაზა სიორიძის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს ზაზა სიორიძე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
დავით ონოფრიშვილის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს დავით ონოფრიშვილი საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ზურაბ ცქიტიშვილის დარგობრივი ეკონომიკის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს ზურაბ ცქიტიშვილი საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
რევაზ ადამიას თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს რევაზ ადამია საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
მიხეილ სააკაშვილის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
კახა ჩიტაიას საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს კახა ჩიტაია საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
როზა ლორთქიფანიძის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს როზა ლორთქიფანიძე საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
დავით აბაშიძის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს დავით აბაშიძე საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
რომან მიმინოშვილის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს რომან მიმინოშვილი საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
კონსტანტინე კოკოევის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს კონსტანტინე კოკოევი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
თამაზ ბოლქვაძის თვითმმართველობისა და რეგიონური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს თამაზ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
გივი გიგინეიშვილის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს გივი გიგინეიშვილი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
გურამ შარაძის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს გურამ შარაძე საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
როსტომ დოლიძის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს როსტომ დოლიძე საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ვახტანგ ყოლბაიას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს ვახტანგ ყოლბაია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია

თბილისი, 1995 წლის 5 დეკემბერი.

გაერო

დემოკრატია და ადამიანის უფლებები განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული

საქართველოს საინფორმაციო სააგენტო გთავაზობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს ღალის წერილს ადამიანის უფლებათა დღესთან დაკავშირებით, რომელიც აღინიშნა 1995 წლის 10 დეკემბერს.

„ყოველწლიურად ადამიანის უფლებათა ამ დღეს აღვნიშნავთ 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებას. წლეულს ვდღესასწაულობთ მსოფლიო ორგანიზაციის ორმოცდაათი წლისთავს. ამრიგად, 1995 წელს ადამიანის უფლებათა დღეს უნდა გავიხსენოთ, რომ საყოველთაო დეკლარაციის წყარო იყო თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

თავისი შექმნის მომენტიდანვე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ენერგიულად გაევრცელებინა თავისი ნორმაშემოქმედებითი ძალისხმევა არა მარტო ინდივიდუალურ უფლებათა დარგზე, არამედ, აგრეთვე, ეკონომიკურზე, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე. ახლა წინსვლის დრო დადგა, რადგან უფლებების ბატონობა წარმოუდგენელია, თუ არ განხორციელდება ღონისძიებანი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის უფლებანი გამოყენებული იყოს სასამართლო წესით. სწორედ ამიტომ დაუცხრომლად უნდა ვიღვაწოთ, რათა აღვძრათ სახელმწიფოებს სურვილი მოახდინონ საერთაშორისო სამართლის ნორმების რატიფიკაცია, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება. ჩვენც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა უზრუნველვყოთ სახელმწიფოთა მიერ მათი დაცვა.

უნდა გავააქტიუროთ საერთაშორისო გაერთიანების ძალისხმევა მისი იურისდიქციის, საერთაშორისო სასამართლოების გაფართოებისათვის, რომლებიც იხილავენ სამხედრო დანაშაულობებს და ადამიანის უფლებათა დარღვევებს ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში. ეს კარგი მაგალითია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ასევე ასახავენ სერიოზულ და სამარცხვინო დილემებს საერთაშორისო გაერთიანებაში რომ წარმოიქმნება ხოლმე და გვიჩვენებენ, რომ გენოციდის საფრთხე, რომელიც ოდესღაც უკვე სამუდამოდ ამოძირკვულად მიგვაჩნდა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენს ხანაში.

ამრიგად, ახლა განსაკუთრებით საჭიროა დავაზუსტოთ, რომ ადამიანის უფლებათა კონცეფციას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა იგი გარკვეული პოლიტიკური ცნების ნაწილია და ხანგრძლივ ზემოქმედებას ახდენს ხალხებისა და ერების სინდისზე. ამ ცნებას დემოკრატია ეწოდება, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ დემოკრატიას — როგორც თვით სახელმწიფოებში, ისე სახელმწიფოთა გაერთიანებებში — შეუძლია ნამდვილად უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა.

ამრიგად, საერთაშორისო გაერთიანების მიზანი უნდა გახდეს დემოკრატიზაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კი ყველაფერი უნდა იღონოს, რათა გააღრმაოს სახელმწიფოთა, ხალხთა და ერთა მიერ ამ დემოკრატიული იმპერატივის გაცნობიერება.

ამრიგად, ჩემი დღევანდელი წერილის არსი შემდეგია: დემოკრატია ჩვენი საერთო მემკვიდრეობის პოლიტიკური გამოხატულებაა. დემოკრატია სჭირდება თითოეულს. და, ისევე როგორც ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას აქვს უნივერსალური განზომილება. ერთი სიტყვით, დემოკრატია და ადამიანის უფლებები მიზნებია, რომლებიც განუყრელად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და რომლებსაც ერთდროულად უნდა ვესწრაფოდეთ. ჩვენც მუხლჩაუხრელად უნდა ვირჯებოდეთ ამ საერთო მიზნების მიღწევისათვის".

ხიდები

იტალია ქართველ ბავშვებს ეხმარება

იტალიის ერთ-ერთ ულამაზეს ზღვისპირა ქალაქ გაეტაში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა ქართველ ბავშვებს. კონცერტის მთელი შემოსავალი საბავშვო ბაღებს მოხმარდება.

კონცერტის ორგანიზატორებმა: საქართველოს საელჩომ იტალიაში, საერთაშორისო ბავშვთა ასოციაციამ და ერთობა „წმინდა გიორგის ფარმა" გადაწყვიტეს სკოლამდელი ასაკის ქართველ ბავშვებს შეუძინონ სათამაშოები და სასწავლო-დიდაქტიკური მასალა.

საქინფორმის კორესპონდენტი ბელინა ხიჯოვანი რომში ესაუბრა საქართველოს ელჩს **ბეგლარ თავართქილაძეს.**

— ნიშანდობლივია, რომ ქართველი ბავშვებისადმი ზრუნვა გამოიჩინა ავტორიტეტიანმა ასოციაცია „ამადმა" (ბავშვთა მეგობრობის საერთაშორისო ორგანიზაცია), რომელსაც სათავეში უდგას მონაკოს პრინცესა კაროლინა. მათი დახმარებით აშენდა საბავშვო ბაღები და სკოლები პოლონეთში, სენეგალში, ზაირში, ჰონდურასში. მარტო შარშან ბავშვებს მოხმარდა 4 მილიონ დოლარამდე.

„ამადს" თავისი წარმომადგენლობები აქვს მრავალ ქვეყანაში. ასოციაციას განზრახული აქვს გახსნას წარმომადგენლობა თბილისშიც, რათა ქართველი ბავშვებისათვის დახმარება უფრო ინტენსიური გახდეს.

აფხაზეთი

ციტრუსოვანთა მოსავალი მცირეა

აფხაზეთში მთავრდება ციტრუსოვანთა კრეფა. ამას ყოველდღიურად სოხუმიდან იუწყება აფხაზური რადიო. სეპარატისტთა მთავრობის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღიარებს, რომ ციტრუსოვანთა კრეფის შედეგები უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო. კერძოდ, ქალაქ გაგრის ზონაში მოიწიეს სულ დაახლოებით 700 ტონა ციტრუსოვანი, დავალებით გათვალისწინებული 1.400 ტონის ნაცვლად. აქედან რეალიზებულია დაახლოებით 430 ტონა. სოხუმის რაიონშიც დაბალი მაჩვენებელია: მოსალოდნელი 600 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 310, ხოლო რეალიზებულია სულ 190 ტონა. ასეთივე დაბალი მაჩვენებლებია აფხაზეთის სხვა რაიონებშიც.

სეპარატისტთა მთავრობის სოფლის მეურნეობის მინისტრმა იური აკაბამ აფხაზ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ უკმაყოფილოა ციტრუსოვანთა მოსავლის ხარისხით, მაგრამ მინისტრი არაფერს ამბობს არსებული სიტუაციის მიზეზებზე, რომლებიც კარგადაა ცნობილი. ფაქტობრივად ხომ უკვე ორი წელიწადია თითქმის არავინ უვლის ციტრუსოვანთა პლანტაციებს.

თენგიზ პაპკორია,
საქინფორმის კორ.

სიახლე

საფოსტო საქმე უმჯობესდება

კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურიდან გვატყობინებენ, რომ ახლახან ამოქმედდა „ელექტრონული ფოსტა" და „ბიუროფაქსის" პუნქტები ქ. თბილისის ფოსტამტის და 78-ე საფოსტო განყოფილების შენობებში. „ბიუროფაქსის" ზემოთ აღნიშნული პუნქტები პირველ რიგში იმით არის საინტერესო, რომ იგი ჩართულია მსოფლიო საფოსტო კავშირის საქალაქთაშორისო ბიუროს ქსელში. ეს კი ინფორმაციის დროული გადაცემისა და მიღების უდავო გარანტიას იძლევა. რაც შეეხება „ელექტრონულ ფოსტას", იგი განსაკუთრებით ხელმისაწვდომი იქნება სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, რადგან ასეთი საშუალებებით შესაძლებელი ხდება საკმაოდ დიდი და ტევადი მოცულობის ინფორმაციის გადაცემა და მიღება ხელმისაწვდომ ფასებში, ანუ იაფად და სწრაფად.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის პრესსამსახურის ცნობით, მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან აღდგენილია სახმელეთო საფოსტო ტრაქტი თბილისი-ვლადიკავკაზი, რომლის მეშვეობითაც წარმოებს საფოსტო გზავნილების გაცვლა რუსეთის ფედერაციასთან და თანამეგობრობის წევრ სხვა ქვეყნებთან. ეს კი უდავოდ საგრძნობლად გააუმჯობესებს როგორც მომსახურების ხარისხს, ასევე მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს. ამ სახის მომსახურების აღდგენამ საგრძნობლად დააჩქარა გზავნილების განვლადობა, რაც მომავალში უდავოდ ხელს შეუწყობს დარგის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას.

ფოსტა

ღირსეულად გაიმარჯვა

საბურთალოს რაიონის ამომრჩევლები დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავთ ბატონ ილია ხუციშვილს მძიმე საარჩევნო ბრძოლაში. დამოუკიდებელმა კანდიდატმა წარმატებას მიაღწია ისეთი ავტორიტეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან ჭიდილში, როგორიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაა. ფაქტობრივად სამ ტურში გამარჯვებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მისი დიდი ავტორიტეტი საბურთალოს რაიონის მოსახლეობაში, რომლის ხელმძღვანელიც იგი იყო მრავალი წლის განმავლობაში. ბატონ ილიას წარმატებებს ვუსურვებთ საპარლამენტო მუშაობაში, კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

საბურთალოს რაიონის ამომრჩეველთა ჯგუფის სახელით:
ნ. ტატიშვილი, ი. ნებიერიძე, ნ. მახაჭაშვილი, ი. მიქაძე, ც. მუავია, ნ. თავართქილაძე, ა. ქუმარიტოვი (სულ 25 ხელმოწერა).

მეზობლებთან

რუსეთი არჩევნების წინ

2. დასავლეთის ვექტორი

მიმდინარე წლის სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში, არც თუ კომუნისტურ-პატრიოტულმა, ტრადიციულად პოპულარულმა „არგუმენტი ი ფაქტი"-მ გარეკანზე გამოაქვეყნა კოლაჟი, რომელმაც უცებ „გადაისროლა" ცნობილი ყოველკვირეული 50-იანი წლების რეალიებში: ამერიკული ავიამზიდი და უდარდელად მომღიმარი ჰელმუტ კოლი, ბილ კლინტონი და ჟაკ შირაკი დამწვარ-დაბომბილი შენობების ფონზე. დასავლეთის სამ წამყვან ლიდერს მშვიდობის თეთრი მტრედები აზვევიათ. კოლაჟს დიდი ასოებით ამშვენებს წარწერა — „მიროტვორცი". „პრავდა" კი გამოგონებითა და ფანტაზიით ვერ უტოლდება „არგუმენტი ი ფაქტს" და სერბიაზე გადაფრენილ მშვიდობის მტრედს, გაეროს წარწერით, მუცლიდან ავიაბომბებს აყრევინებს, ხოლო გაზეთის მკითხველისათვის ყველაფერი რომ გასაგები იყოს, ბომბსაც აწერია „ნატო".

დღევანდელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთები სავსეა ანალოგიური ხასიათის კარიკატურებითა და კოლაჟებით. ერთი შეხედვით ანტიდასავლური კამპანია ბალკანეთის ამბებთანაა დაკავშირებული, სინამდვილეში კი ყოფილი იუგოსლავიის მოვლენებმა და სერბების წინააღმდეგ განხორციელებულმა ნატოს სამხედრო აქციებმა მხოლოდ დააჩქარა კულისებს მიღმა მიმდინარე პროცესებისთვის საჯაროდ ფარდის ახდა.

დღეს რუსეთში ყველას თავისი აზრი აქვს დასავლეთთან ურთიერთობაზე. კომუნისტთა და „ეროვნულ-პატრიოტთა" ღრმა რწმენით, ყველაფერი რაც დღეს ხდება, ადრე იყო დაგეგმილი გორბაჩოვისა და მისი გუნდის მიერ, რომელთაც „მიყიდეს" რუსეთი (საბჭოთა კავშირთან ერთად) ამერიკასა და ნატოს.

დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ არაფერი საგანგაშო არ ხდება. უბრალოდ, რუსეთს, ისევე, როგორც დიდი იმპერიის სხვა ნებისმიერ მემკვიდრეს, უჭირს შეეგუოს თავის ახალ „პოლიტიკურ კალიბრს" და ნორმალურ მოვლენებს უზომოდ მტკივნეულად აღიქვამს. პირადად გორბაჩოვს კი სწამს, რომ განიარაღების ფართო პროგრამა, რომლის ინიციატორი საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ხელმძღვანელობა იყო, პირველ რიგში თვითონ საბჭოთა კავშირს ესაჭიროებოდა, თუმცა ამაში დასავლეთიც არანაკლებ იყო დაინტერესებული. მდგომარეობა დრამატულად შეიცვალა 1991 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლამ ძირეულად შეცვალა პოლიტიკური სიტუაცია ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ამას მოჰყვა კავშირების გაწყვეტა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რუსეთის ხელმძღვანელობის „არაშორსმხედველი" სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც საბოლოო ჯამში მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის დარღვევა გამოიწვია.

შეიცვალა რუსეთის პოლიტიკაც დასავლეთთან მიმართებაში: გორბაჩოვს მიაჩნია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მან, პოლიტიკამ დამოუკიდებლობა დაკარგა. მისი აზრით ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში დასავლეთმა და, უპირატესად, აშშ-მ, გადაწყვიტეს ესარგებლად რუსეთის დროებითი სისუსტით და ახალი გეოპოლიტიკური თამაში წამოიწყეს რუსეთის, როგორც მსოფლიო სახელმწიფოს სტატუსის შეცვლის მიზნით. ყველაფერთან ერთად გორბაჩოვი „თურქული კარტის" გათამაშებაშიც სდებს ბრალს დასავლეთს. ისევე, როგორც ყველა სხვა რუსი პოლიტიკოსი, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იუგოსლავიის მოვლენებს და აღშფოთებას არ მალავს იმის გამო, რომ დასავლეთმა ასე უცერემონიოდ ჩამოაშორა მოსკოვი ევროპაში მიმდინარე მძაფრ პროცესებს.

არც გაეროს ინდობს საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი — უშიშროების საბჭო ნატოს კარნახით მოქმედებს და, საბოლოო ჯამში, ასეთი პოლიტიკა რეალობად აქცევს „ცივ ომსო".

ამავე დროს, შექმნილ რთულ სიტუაციაში, მიხეილ სერგის ძე, „ახალი შინაარსის კონსტრუქციული პროგრამის" დეფიციტში ადანაშაულებს ელცინსა და მის უახლოეს გარემოცვას. რასაკვირველია, ყველაზე და ყველაფერზე განაწყენებულ გორბაჩოვს ობიექტურობის შენარჩუნებაც უჭირს და რთულ მოვლენათა ემოციების გარეშე შეფასებაც, მაგრამ ზოგიერთი მისი მოსაზრება, რომ სალ აზრს მოკლებული არ არის, ესეც ფაქტია. იგივე ნატოს როლთან დაკავშირებით ძნელია არ დაეთანხმოთ თუნდაც იმაში, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკმაც უნდა გადასინჯოს თავისი სტრატეგიის ზოგიერთი საკვანძო მომენტები. ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას, ბლოკის რიგ ფუნქციათა შეცვლაც უნდა მოჰყვეს. თუ მართლაც დაიწყო ნატოს არაბალანსირებული გაფართოება აღმოსავლეთით, ამას თითქმის ავტომატურად მოჰყვება ანტიდასავლური განწყობილების გაძლიერება რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, რაც დაუმსახურებელი საჩუქარი იქნება კომუნისტებისა და „პატრიოტული" წრეებისათვის, რომელნიც კარგად არიან მომზადებულნი მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის და არ დააყოვნებენ, რათა ფართო კამპანია წამოიწყონ „ადეკვატური" პასუხისათვის.

საინტერესოა, რომ უკანასკნელ ხანებში დასავლეთის მთელი რიგი ანალიტიკური ცენტრები თუ გავლენიანი პოლიტიკოსები, საკუთარი მთავრობებისგან მეტ სიფრთხილეს მოითხოვენ რუსეთთან ურთიერთობაში. შემთხვევით არ ყოფილა, რომ ჯერ კიდევ შარშან, როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში საშიშ სიმპტომად აღიქვეს პრიმაკოვის უწყების გახმაურებული მოხსენება: „რუსეთი — დსთ: საჭიროებს თუ არა კორექტირებას დასავლეთის პოზიცია?" მიმდინარე წლის 14 სექტემბერს კი უკვე რუსეთის პრეზიდენტმა მოაწერა ხელი ბრძანებულებას მრავლისმეტყველი სახელწოდებით — "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებთან რუსეთის ურთიერთობის სტრატეგიული კურსი", რომელიც რუსეთის პრესამ არც თუ უსაფუძვლოდ ზემოხსენებული მოხსენების თავისებურ გაგრძელებად შეაფასა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ შარშანდელი დოკუმენტი არ გამორიცხავდა „ერთიანი თავდაცვითი სივრცის" შექმნის ვარიანტს, ხოლო პრეზიდენტის მიერ სამოქმედოდ მოწონებული ბრძანებულება კი პირდაპირ ითვალისწინებს „სამხედრო-პოლიტიკური მიზნების ინტერესებში, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვით კავშირში გაერთიანების განზრახვის წახალისებას".

მეორე საკითხია (შეიძლება მთავარიც!), რომ ასეთ „განზრახვას" ბელორუსიის პრეზიდენტის გარდა არავინ ავლენს. რაც შეეხება კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას, როგორც ცნობილია, მას ხელი მოაწერეს 1992 წლის 1 მაისს ტაშკენტში. ხელშეკრულებას მოგვიანებით შეუერთდნენ აზერბაიჯანი, საქართველო და ბელორუსია, ხოლო უკრაინამ, მოლდოვამ და თურქმენეთმა ხელი არ მოაწერეს დოკუმენტს. თუმცა დიდი დრო გავიდა ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაგრამ დღემდის ვერ მოხერხდა ერთიანი საჰაერო თავდაცვის სისტემისა და ერთიანი სასაზღვრო ჯარების (ბუნებრივია ერთიანი სარდლობით) შექმნა. რუსეთის ექსპერტები კვლავ დასავლეთსა და ნატოს ადანაშაულებენ ასეთი ცდების წარუმატებლობაში. მათი ვერსიით დასავლეთმა მთელი რიგი კონტრზომები მიიღო, რათა არ დაეშვა თანამეგობრობის სამხედრო პოლიტიკური ბლოკის შექმნა, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია, რომელსაც, როგორც იქნა, მოაწერეს ხელი ამა წლის თებერვალში ალმა-ათაში, არც ერთი სახელმწიფოს პარლამენტის მიერ არ არის რატიფიცირებული და რეალურად არც ამუშავებულა.

რუსეთში ყველა სერიოზული ანალიტიკოსი ერთხმად ადასტურებს, რომ დღევანდელ სიტუაციაში მხოლოდ ბელორუსიასთანაა შესაძლებელი რეალური სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. გარკვეულ პირობებში მინსკს შეიძლება შეუერთდნენ ტაჯიკეთი და სომხეთი. ასეთი კავშირის კატეგორიულ მოწინააღმდეგეთა სიაში შეყავთ უკრაინა, უზბეკეთი და აზერბაიჯანი. საბოლოოდ არ გამოკვეთილა ყაზახეთის, ყირგიზეთისა და საქართველოს პოზიცია, არც ერთი მათგანი არ შეუერთდება სავარაუდო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს რუსეთის „ლამაზი თვალებისათვის" და თუ დათანხმდებიან, მხოლოდ მათთვის ხელსაყრელი პირობებით.

ანალოგია ვარშავის ხელშეკრულებასთან, სერიოზულ კორექტივს მოითხოვს. დღეს ყველა აღიარებს, რომ „ნეტარხსენებული" კავშირის მზიდი კონსტრუქცია ეკონომიკა იყო — იაფი (თითქმის მუქთი) ენერგორესურსებით დაწყებული და შეღავათიანი სავაჭრო ხელშეკრულებებით დამთავრებული. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველელი მხრიდან გაისმის საკრამენტული კითხვა — მზად არის დღევანდელი რუსეთი ასეთი მსხვერპლისათვის? კი, ბატონო, ეს კითხვაც გათვალისწინებულია რუსეთის პრეზიდენტის 14 სექტემბრის ბრძანებულებაში, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ დსთ ქვეყნებს შორის ურთიერთობათა (ალბათ სამხედრო სფეროც იგულისხმება) მთელ კომპლექსს საფუძვლად უნდა დაედოს „ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობა". რას ინატრებდა უკეთესს კაცი, ეს რომ ასე იოლი მისაღწევი იყოს, თანაც მოკლე დროში! მაგრამ საქმეც ის არის, რომ კარგა დიდი დრო და უამრავი სხვადასხვა ხასიათის წინაპირობაა საჭირო იმისთვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს თანაბრად ურთიერთხელსაყრელი სახე და შინაარსი მიიღოს, ვთქვათ, ტაჯიკეთის ეკონომიკურმა თანამშრომლობამ რუსეთთან. ტაჯიკეთი შეიძლება დღეს სხვაზე მეტად არის დამოკიდებული რუსეთზე, მაგრამ გამონაკლისი არ არის.

ივლისის დამლევს საინტერესო სემინარი ჩაატარა ტაშკენტში გაერომ. სემინარის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა რეგიონური უსაფრთხოება და თანამშრომლობა ცენტრალურ აზიაში. თუმცა რუსეთის პრესა დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია გაეროს ინიციატივას და არც ფართოდ გაუშუქებია სემინარის მუშაობა, მაგრამ ის რამდენიმე ძუნწი ინფორმაციაც კი, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, წარმოდგენას გვაძლევს საერთო პრობლემებზე. კერძოდ, როგორც ირკვევა, სემინარის მასპინძლების მიერ მომზადებული იყო მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ტაშკენტი მზად იყო თავისთან განელაგებინა გაეროს რეგიონული ბიურო გაცილებით ფართო უფლებამოსილებით, ვიდრე ამას ითვალისწინებს ალმა-ათის დოკუმენტი კოლექტიურ უსაფრთხოებაზე. ბუნებრივია, რომ მოსკოვის ჩარევის შედეგად პროექტი პროექტად დარჩა, მაგრამ თვითონ ფაქტი მრავლისმეტყველია. რასაკვირველია, უკანასკნელი გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსკოვმა ერთხელ და სამუდამოდ აიღო ხელი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის იდეაზე; ელცინის 9 სექტემბრის სენსაციურ განცხადებას კი მოჰყვა კოზირევის 13 სექტემბრის „დაზუსტება", რომ პრეზიდენტის მუქარა მხოლოდ „გაფრთხილებაა" იმ შემთხვევისათვის, თუ გაუარესდება „საერთოევროპული ურთიერთობანი", მაგრამ იგივე სექტემბრის მეორე ნახევარსა და ოქტომბრის დასაწყისში რუსეთის დიპლომატიის მკვეთრი გააქტიურება დსთ ფრონტზე, თავისთავად პრეზიდენტის „გაფრთხილების" სერიოზულობაზე მეტყველებს.

ცნობილი რუსი ანალიტიკოსის ველეხოვის აზრით, ელცინის 14 სექტემბრის ბრძანებულება ფაქტობრივად დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული ახალი სამხედრო დოქტრინაა, რომლის განხორციელება არც ისე იოლი იქნება.

ახალი სამხედრო კავშირის პოტენციურ წევრებზე ზემოქმედების რა რეალური ბერკეტები გააჩნია დღევანდელ რუსეთს? ზოგს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლაში დახმარებას შეპირდება, ზოგს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებას, ხოლო სხვაგან კი უფრო დახვეწილი მეთოდებით იმოქმედებს, — ასკვნის ველეხოვი.

შეიძლება ასეც იყოს, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება დიდ პოლიტიკაში, მაგრამ პრობლემის დელიკატურობა ის არის, რომ მეოცე საუკუნის დამლევს მხოლოდ ლამაზი დაპირებებით იახტკლუბშიც კი ვერ შეიტყუებ ვისმეს (თუ მას არ სურს), არა თუ სამხედრო ბლოკში. რეალობა კი ისეთია, რომ ჯერჯერობით ვერც ბელორუსიას ეხმარება რუსეთი საქმით და ეფექტიანად ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, ვერც საქართველოს — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. საკითხს დრამატიზმს მატებს ის გარემოება, რომ დღეს მოსკოვს ძალა არ შესწევს თავისი დაპირებების შესასრულებლად. ასეთ სიტუაციაში კი ძნელი სავარაუდოა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა, რომელიც ყველა მონაწილის ინტერესთა ერთობაზე იქნება დაფუძნებული.

მეორე საკითხია (იქნებ მთავარიც), თუ რამდენად ესაჭიროება რუსეთს ასეთი ბლოკი? რამდენად რეალურია საფრთხე, რომელიც მას დასავლეთიდან ემუქრება? უნდა ვაღიაროთ, რომ თუმცა ეჭვს არ იწვევს „ცივ ომში" ათწლეულობით პირისპირ დგომის შედეგები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვერც ერთი რუსი პოლიტიკოსი, ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეეგუება რუსეთის როგორც თუნდაც ევროპის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს უცერემონიო „ჩამოწერას". დრო და დრო კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დასავლეთში იმძლავრა ცდუნებამ ანგარიში აღარ გაუწიონ მოსკოვს იმ საკითხებშიც და იქაც კი, სადაც ეს აუცილებელია.

მიმდინარე წლის ნოემბერში შევიდა ძალაში ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება, რომელიც ხუთი წლის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 185.

(დასასრული მე-4 გვ.).

ჩვენი პარიზელი კორესპონდენტისაგან

მეხუთე რესპუბლიკის შავი დღეები

უკვე მეექვსე კვირაა პარალიზებულია საფრანგეთი. მწვავე სოციალური კრიზისი მძვინვარებს მეხუთე რესპუბლიკაში, გაფიცულია სახელმწიფო დაწესებულებების [illegible] პროცენტი, გაჩერებულია რკინიგზა, მეტრო, ავტობუსები. ფრანგებს უკვე ყელში ამოუვიდათ პროფკავშირების უთავბოლო მოთხოვნები-ლოზუნგები, ბევრი მათგანი შიშობს, რომ ქვეყანა შეიძლება მთლიანად დაიმბლავდეს და უკვე პირველი აუცილებლობის პროდუქტებს იმარაგებს.

საფრანგეთს ჭეშმარიტად მძიმე დღეები დაუდგა. კაცმა არ იცის, შეიძლება კიდევ უარესია მოსალოდნელი. ჟაკ შირაკმა ბიუჯეტის გამკაცრების ორწლიური გამოაცხადა და ქვეყანა ნაღვლიანი პერსპექტივის წინაშე დააყენა: ისედაც მომატებული უმუშევრობა არ დაიკლებს, ვიდრე სოციალური მდგომარეობა აღმავლობით [illegible]. პრეზიდენტმა, იმაში ღრმად დარწმუნებულმა, მკაცრი ეკონომიის დიდი დოზა მძლავრი აღმავლობისკენ შემობრუნების საწინდარი იქნებაო, ლამის ნიძლავი დადო, სამუშაო ადგილების რაოდენობასაც გავზრდით და საზოგადოებრივი აზრიც ჩვენი ერთგული გახდებაო. და თუ მან ეს ნიძლავი წააგო, ადვილი შესაძლებელია, რომ ამომრჩევლები ქსენოფობი უკიდურესი მემარჯვენეებისკენ (ჟან-მარი ლეპენის „ეროვნული ფრონტი") შეტრიალდნენ, არადა, სულაც კვლავ ოპოზიციონერი სოციალისტები ამჯობინონ 1998 წლის საპარლამენტო არჩევნებში, — ეი, მაშინ კი ნამდვილი პოლიტიკური ჩიხი გარდაუვალი იქნება. კიდევ უფრო უარესი შეიძლება ის იქნეს, რომ ასეთ სიტუაციაში ქვეყანა ვერასგზით ვერ დააკმაყოფილებს იმ მკაცრ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია ევროპულ მონეტარულ კავშირში შესასვლელად 1999 წელს. ასე რომ, ეს მშვიდი ევფემიზმი, ევროპული ინტეგრაციის მთელი მომავალი შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. შირაკისა და მიტერანის ერას დამთავრებასთან ერთად ჰექსაგონი დიდი თავსატეხი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა XXI საუკუნის გზასაყარზე. შეძლებს საფრანგეთი გაერთიანებული ევროპის მეთაურობას, თუ ამ საუკუნეს ისე დაასრულებს, როგორც დაიწყო: ძლიერი და უნიფიცირებული გერმანიის ჩრდილში? გააგრძელებს იგი თავისი ეკონომიკის მოდერნიზირებას, თუ კვლავ თავის მძლავრ საზოგადოებრივ სექტორს ჩაებღაუჭება, როგორც სამუშაო ადგილებისა და სოციალური სტაბილურობის ერთადერთ მედგარ წყაროს?

დღეს ფაქტი ერთია — მსგავსი უწესრიგობა და არეულობა კარგა ხანია არ მოსწრებია საფრანგეთს. ხოლო ყველაფრის თავი და თავი მთავრობის მიერ შემოთავაზებული სოციალური უზრუნველყოფის რეფორმის გეგმა და ამ გეგმით გათვალისწინებული პენსიის მიღების რეჟიმის ცვლილებანი გახლავთ.

სახელმწიფო სექტორის, მეტადრე კი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკები ბუნებრივად [illegible] გაფიცვის საბაბს, მით უმეტეს, რომ პროფკავშირები მათ წრეებში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობენ (ბოლო გაფიცვა მოხდა ა. წ. 10 ოქტომბერს, როდესაც მთავრობამ გამოაცხადა მოხელეთა ხელფასის ერთი წლით გაყინვა).

1993 წელს, როდესაც ედუარდ ბალადიურის მთავრობამ წამოიწყო საპენსიო უზრუნველყოფის რეფორმა, დააწესა საპენსიო ასაკად 60 წელი და სრული პენსიის მისაღებად მუშაობის 40 წლის სტაჟი, ეს სიახლე შეეხო მხოლოდ კერძო სექტორის მუშაკებს. ამჯერად, ალან ჟუპეს მთავრობამ, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, ეს წესი გაავრცელა სახელმწიფო სექტორზეც, რომლის მუშაკებიც დღემდე 37,5 წლის განმავლობაში რიცხავდნენ თანხას საპენსიო ფონდში. გარდა ამისა, ჟუპეს მთავრობამ გადაწყვიტა შეეცვალა საპენსიო უზრუნველყოფის „განსაკუთრებული რეჟიმი", რითაც დღემდე სარგებლობენ სატრანსპორტო ორგანიზაციები. ამიტომ, ეს უკანასკნელნი ყველაზე მეტს გაჰყვირიან და მზად არიან წლის ბოლომდე ქუჩაში იდგნენ. საპენსიო საკითხი, რასაკვირველია, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. უკვე დიდი ხანია, რაც ლაპარაკია სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტის უზარმაზარ დეფიციტზე. თუმცა დღემდე არც ერთ მთავრობას არ უცდია მოეხდინა რადიკალური ცვლილებები. დროგამოშვებით სახელმწიფო საკუთარი ჯიბიდან ავსებდა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ბიუჯეტში წარმოქმნილ დეფიციტს, მაგრამ დღეს თვითონ სახელმწიფო ბიუჯეტი განიცდის უმწვავეს დეფიციტს და მას აღარ ძალუძს უწინდებურად თავს იდევას ამ ხარვეზების გადაფარვა. მით უმეტეს, რომ ახალმა მთავრობამ პირველი რიგის ამოცანად დაისახა ფინანსების გაჯანსაღება.

თუმცა იცოდა, რომ სოციალური უზრუნველყოფის რეფორმის პროექტი უეჭველად გამოიწვევდა პროფკავშირებისა და სახელმწიფო სექტორის მოსამსახურეთა გულისწყრომას, ალან ჟუპემ იგი პარლამენტს წარუდგინა და პარალელურად დააყენა მთავრობის ნდობის ვოტუმი. დეპუტატთა უმრავლესობამ მას მხარი დაუჭირა.

რეფორმის პრინციპი ის არის, რომ სამედიცინო უზრუნველყოფის ფონდი, რომელიც აქამდე პროფკავშირთა ხელში იყო, ამიერიდან პარლამენტის კონტროლს დაექვემდებარება, ხოლო ფონდის დეფიციტის შემცირების მიზნით, თითოეული მოსამსახურის შემოსავლიდან 13 წლის განმავლობაში დაიქვითება 0,5 პროცენტი, გადასახადს დაექვემდებარება აგრეთვე უმუშევრობისა და ინვალიდობის ფულადი დახმარებანი, თუკი ისინი მინიმალურ ხელფასს აღემატება; ამ ეკონომიაში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ თვითონ ექიმებიც, რომლებიც დავალდებულნი, თუ უკიდურესი აუცილებლობა არ იქნა, არ გამოწერონ ძვირადღირებული წამლები და უარი თქვან ანალიზ-გამოკვლევების ჩატარებაზე, რაც ყველაზე ძვირი უჯდება თვითონ სახელმწიფოს...

მემარცხენე პროფკავშირები ამტკიცებენ, რომ ჟუპეს გეგმისგან სურთ დაიცვან სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, ვითომც არ იცოდნენ რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი ეს სისტემა, რომელსაც მხოლოდ რეფორმა თუ იხსნის. ეს ყველაფერი კი სოციალისტური საფრანგეთის (მიტერანის 14-წლიანი მმართველობის) — სახელმწიფო სახსრების უკონტროლოდ განიავებისა და სოციალური უზრუნველყოფის ფონდების გაუმართლებელი გულუხვობის მწარე შედეგი გახლავთ. მემარჯვენე პარტიები და პრეზიდენტი შირაკი, ალან ჟუპეს მთავრობა თავისი რეფორმებით სოციალური პროტესტის მძიმე და ყრუ კედელს გადააწყდნენ, ეს პროტესტი კი, პირველ ყოვლისა, იმათი რიგებიდან მოდის, ვისაც არ ეთმობა საკუთარი პრივილეგიები.

გასული კვირის ბოლოს რვა მსხვილი პროფკავშირული გაერთიანებიდან ოთხმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო მთავრობის მიერ შემოთავაზებულ დიალოგში. ყველაზე სავალალო ის არის, რომ თვითონ პროფკავშირები ვერ მორიგებულან ერთმანეთში. ეს განსაკუთრებით ეხება კომუნისტურ „შრომის საყოველთაო კონფედერაციას" და მისგან ამ ოცი წლის უკან გამოყოფილ ტროცკისტულ „ფორს უვრიერს" („შრომის ძალა"). სრული ქაოსია პროფკავშირების ცენტრალურ ბიუროსა და მის ადგილობრივ ქვედანაყოფების ურთიერთობებშიც.

გაფიცულთა რიგებს თანდათანობით შემოემატა საფოსტო დაწესებულებები, ბანკები, „ელექტრისიტე დე ფრანსი" და „გაზ დე ფრანსი", თუმცა ამ უკანასკნელებმა შეიცოდეს და არ გამოურთეს მოსახლეობას არც შუქი და არც გაზი. ეპიდემია გავრცელებით ემუქრება კერძო სექტორსაც — ქარხნებს „რენოს", „ატომეშს", და „რონ-პულენკს". ნაწილობრივ გაფიცულია აეროპორტები.

გახშირდა მანიფესტაცია-დემონსტრაციები, რაც ხშირად ს. რ. ს.-თან („რესპუბლიკის უშიშროების კომპანია") დემონსტრანტების შეხლა-შემოხლით მთავრდება. საფრანგეთის ტელევიზია უხვად უჩვენებს ტელემაყურებლებს ალმოდებულ მანქანებს, ფანჯრებჩალეწილ კაფე-რესტორნებსა და დაპატიმრებულებით გამოტენილ პოლიციის ფურგონებს.

ქუჩაში გამოვიდა, აგრეთვე, ათიათასობით უნივერსიტეტის სტუდენტი, ლიცეუმის მოსწავლე და პროფესორ-მასწავლებელი. საფრანგეთის 50-მდე უნივერსიტეტი ბიუჯეტის დიდ სიმწვავეს განიცდის და გაფიცულთა მოთხოვნა სასწავლო დაწესებულებების პირობების გაუმჯობესებასა და მათთვის დამატებითი ფულადი სახსრების გამოყოფას ეხება. უნდა ითქვას, რომ ეროვნული განათლების მინისტრთან გაფიცულთა წარგზავნილების შეხვედრამ სასურველი შედეგი გამოიღო — მთავრობამ მომავალი წლისათვის 2 მილიარდი ფრანკი გამოყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრ ალან ჟუპეს 5 დეკემბრის გამოსვლას პარლამენტის სხდომაზე არანაირი საიმედო შედეგი არ მოჰყოლია — მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაიხიოს და მყარად დგას თავის პოზიციებზე. პრემიერი ამ დღეებში შეხვდა კაბინეტის წევრებს, რომლებიც თავის მხრივ, ეთათბირებიან პროფკავშირთა ლიდერებს. მაგრამ ამ უპრეცედენტო კრიზისიდან თავის დაღწევის გზები ჯერ ვერ გამოინახა. პროფკავშირები არც ფიქრობენ გაფიცვის შეწყვეტას — დაგეგმილი აქვთ 20 დეკემბრამდე გააგრძელონ ქვეყნის ეკონომიკისათვის მეტად საშიში ეს მარათონი. ეროვნული ვალუტის სტაბილურობას საფრთხე შეექმნა. მარტო რკინიგზის ეროვნულ კომპანიას გაფიცვის თითოეული დღე 100 მილიონი ფრანკი უჯდება. საშუალო და მცირე საწარმოები ზარალობენ იმის გამო, რომ არ მუშაობს ტრანსპორტი და ფოსტა. სავაჭრო დაწესებულებები, ტურისტული ფირმები და კაფე-რესტორნები — კლიენტურის სიმცირით.

მძიმე დღეები უდგას მეხუთე რესპუბლიკას, მაგრამ საფრანგეთი მაინც საფრანგეთობს და, თუმცა, იგი დღეს უკვე აღარ არის ის ქვეყანა, ერთ დროს მსოფლიოს რომ აზანზარებდა, — თავისი ფილოსოფოსებით, რომელთაც შექმნეს ლუმიერების საუკუნე, თავისი რევოლუციონერებით, რომლებმაც პირველებმა დაარწიეს ადამიანთა უფლებების აკვანი, თავისი არმიებით, ევროპის ოთხივე კუთხივ რომ გაჰქონდათ „თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის" პრინციპები. თუმცა, მას დღეს უკვე აღარ გააჩნია ის კულტურული სიღრმეები, რომლებმაც მსოფლიოს მისცეს ვერსალის ბაღები, იმპრესიონისტული ფერწერა, ფლობერისა და სტენდალის რომანები, ფოტოგრაფია და კინო, — მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ტერიტორიულად ეს არცთუ დიდი ქვეყანა სრულებითაც არ იფარგლება მარტოოდენ უთვალავი მუზეუმებით, შეუდარებელი ღვინოებით და 400 სახეობის ყველით. პლანეტის მოსახლეობის ერთი პროცენტით საფრანგეთი დღეს მსოფლიოს მეოთხე ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, მეოთხე ყველაზე დიდი ექსპორტიორია და ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო პოტენციალის სახელმწიფოა.

და დღეს ეს უმდიდრესი ქვეყანა უმწვავეს სოციალურ კრიზისს განიცდის. რა იქნება ხვალ? ამას დრო გვიჩვენებს. აკი უთხრა კიდეც პრეზიდენტმა შირაკმა ამერიკულ „ტაიმის" კორესპონდენტს - „მე წინ კიდევ შვიდი წელიწადი მაქვს".

ვლადიმერ ზარიძე.

პარიზი,
11 დეკემბერი, 1995 წ.

განსჯა

ქვეყნის ეკომიკის აღმშენებლობა ჩვენს ხელთაა

(დასასრული)

ტექნოლოგიური პროცესები არაეკონომიურია, ახლით უნდა შევცვალოთ, ან მოვახდინოთ კოოპერაცია სხვა დარგებთან. თუ არც ერთი არ შველის, —დავხუროთ.

მრეწველობის ეკონომიკას თუ ისე გავუძღვებით, როგორც ზემოთ ვთქვით, მაშინ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ღირებულების ამოღებაც რეალური გახდება.

მრეწველობას, განსაკუთრებით, მძიმე მრეწველობას, და ენერგეტიკას ძალიან ბევრი აქვს საერთო, და, აქედან გამომდინარე, მათი მართვის ერთ სტრუქტურაში გაერთიანება ბევრ სახელმწიფო პრობლემას გადაწყვეტდა (ბევრ ქვეყანაში მრეწველობა და ენერგეტიკა ერთი სტრუქტურით არის წარმოდგენილი).

არსებობს მოსაზრება სათბობ-ენერგეტიკის ერთიანი სტრუქტურის შექმნის თაობაზეც. ვფიქრობ, ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან სათბობს არც ტექნოლოგიურად, არც პროფესიულად, არავითარი კავშირი ენერგეტიკასთან არა აქვს. ის არის მხოლოდ ნედლეული, საწვავი ენერგიის გამოსამუშავებლად და სხვა არაფერი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სათბობს (ნახშირი, ბუნებრივი გაზი, ნავთობპროდუქტები, შეშა და სხვა) საერთო ენერგეტიკულ ბალანსში 80 პროცენტი უკავია, ხოლო ელექტროენერგიას 17-20 პროცენტი, ცხადი გახდება, რომ სხვა სტრუქტურებთან გაერთიანება კიდევ უფრო დაამძიმებს ენერგეტიკაში გადასაწყვეტ საკითხებს.

ადგილობრივი წიაღისეული სიმდიდრის — სათბობის მოპოვებისა და გამოყენების კომპლექსური გადაწყვეტა ადრე არ ხდებოდა. მით უფრო აუცილებელია, რომ დღეს და მომავალში მისი მოპოვება ერთ-ერთ წამყვან სამეურნეო დარგად დარჩეს რესპუბლიკაში. წინასწარი გაანგარიშებით რესპუბლიკის წლიური მოთხოვნა სათბობზე იქნება 8 მილიონამდე ტონა პირობითი საწვავი, აქედან 2 მილიონი ენერგეტიკისათვის, 3 მილიონი — თბომეურნეობისათვის და 2,7 მილიონი სამრეწველო ობიექტების ტექნოლოგიური პროცესებისათვის.

ვფიქრობ, რომ ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი გაზი ენერგეტიკაში მინიმალურად ან სულაც აღარ უნდა გამოვიყენოთ. საერთაშორისო ბაზარზე მათი მაღალი ფასის გამო ისინი ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ უნდა ვაქციოთ, და, ამასთან ერთად, მაღალტექნოლოგიური ნავთობქიმიის განვითარების საფუძვლად გამოვიყენოთ. ჩვენი სპეციალისტები შეძლებენ ამ მიმართებით რეალური, ეტაპობრივი პროგრამის შემუშავებას. ამ საქმიანობის კოორდინაციისა და საერთო ხელმძღვანელობისათვის უპრიანი იქნება ჩამოყალიბდეს სპეციალური სტრუქტურა ძლიერი კომერციული სამსახურით, რომელიც გონივრული სამეურნეო საქმიანობის საფუძველზე მოახდენს ფინანსების მოზიდვასა და აკუმულაციას იმ მიზნით, რომ ჩვენ თვითონვე გავხდეთ ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ინვესტორები.

მიმაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება დღესვე დავიწყოთ სათბობის დარგში ასეთი სტრუქტურის შექმნა, მით უფრო, რომ დაგროვილი გვაქვს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება. ამას ადასტურებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ გასულ წლებში, როდესაც სამეურნეო საქმიანობის თითქმის არც ერთი დარგი არ მუშაობდა, ენერგეტიკა მეტნაკლებად მაინც უზრუნველყოფილი იყო სათბობით. აქ უდიდესი როლი შეასრულა ბუნებრივი გაზის მიღების ეკონომიკურად ეფექტიანმა საკონტრაქტო ურთიერთობამ თურქმენეთთან, რის შედეგად 1993-1994 და 1995 წლის 8 თვეში მიღებული გვაქვს 7 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, რომლის საერთო ღირებულება 610 მილიონი აშშ დოლარია, აქედან გადახდილია 213 მილიონი დოლარი, ვალად დაგვრჩა 386 მილიონი. 213 მილიონ დოლარად თურქმენეთმა ჩაგვითვალა გაგზავნილი პროდუქცია, რომლის ღირებულება ჩვენი განფასებით 70 მილიონი დოლარი იყო. ე. ი. ჩაგვეთვალა 1:3-თან. დარჩენილი 386 მილიონი დოლარის დავალიანების დაფარვას თურქმენეთი ისეთი პროდუქციით გვთხოვს, რომლის საერთო ღირებულება ჩვენთან 70-80 დოლარს არ აღემატება.

გთხოვთ დააკვირდეთ: წლის განმავლობაში ჩვენ ვიღებდით ბუნებრივი გაზის 1.000 კუბურ მეტრს 36 დოლარად, მაშინ, როდესაც თვით რუსეთი თავის გაზს თავისსავე საწარმოებს 1995 წლამდე მიჰყიდდა 45, 1995 წელს კი უკვე 63 დოლარად.

სამწუხაროა, რომ ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ერთმა კატეგორიამ სათანადოდ ვერ აღიქვა ასეთი საკონტრაქტო ურთიერთობის მომგებიანობა, და ურთიერთობა თურქმენეთთან გაამწვავა. 1995 წლის პირველი კვარტლიდან გაზის მოწოდება შეწყდა. 1995 წლის იანვრიდან თურქმენეთისგან 45 დოლარად ნაყიდი ბუნებრივი გაზი ჩვენსავე საწარმოებს 85 დოლარად მივყიდეთ. ასეთი მიდგომის შედეგია, რომ დღეს (აღარაფერს ვლაპარაკობ სხვა მომხმარებლებზე), ენერგეტიკასაც დააკლდა გაზი და იძულებული ვართ ვხარჯოთ ზამთრის რეზერვები — წყალი და მაზუთი.

ზოგიერთებმა ისარგებლეს მომენტით და დაადანაშაულეს „საქგაზის" დეპარტამენტი, თითქოს იგი არ იხდიდა თურქმენეთში გაზის სანაცვლოდ გაგზავნილი პროდუქციის ფასს.

ამ ბრალდებას არავითარი საფუძველი არა აქვს, რადგან შემოტანილი გაზი თითქმის მთლიანად იხარჯებოდა ელექტროენერგიის მიღებას. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას ენერგეტიკოსების 180 მილიონი დოლარი ვალი აქვს, მრეწველობას კი „საქგაზის" მხოლოდ 12 მილიონი.

შარშან, მე-4 კვარტალში, საერთო რესურსი გაზისა 515 მილიონი კუბური მეტრი გვქონდა, აქედან 380 მილიონი თურქმენეთიდან და 135 მილიონი ირანიდან შემოტანილი. გარდაბნის თბოსადგური ყოველდღე მოიხმარდა 3 მილიონს! აზერბაიჯანიდან ვიღებდით ყოველდღე 150-200 მეგავატ ელექტროენერგიას, რომელიც დაბალანსებული იყო ირანიდან მიღებული გაზის ხარჯით (1 კვტ გვიჯდებოდა 5 ცენტი, ე. ი. 3-ჯერ უფრო იაფი, ვიდრე თბილსრესში). ამის საფუძველზე მაქსიმალურად შევინარჩუნეთ წყლის რაოდენობა ჰიდროსადგურებში.

დღეს, როცა დავამთავრეთ თბილსრესის გარემონტება, განსაკუთრებით საჭირო ხდება აპრობირებული, სამთავრობო მუშაობის გამოცდილების აღდგენა, ხოლო უახლოეს მომავალში სათბობის მოპოვების, შეძენის, გადამუშავებისა და რეალიზაციის ახალი დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნა.

რესპუბლიკაში აუცილებელ ინტეგრაციასა და კოოპერაციაზე საუბრისას, სწორი არ იქნება განსაკუთრებული ყურადღება არ დავუთმოთ ისეთი დარგების ურთიერთობას, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და ქიმიური მრეწველობა. ბევრ ქვეყანაში ამ დარგების კოოპერაციამ მაღალ დონეს მიაღწია (განსაკუთრებით უკრაინაში, ბელორუსიაში, რუსეთსა და ბალტიისპირეთში). ამიტომაც არის, რომ ჩვენ რესპუბლიკაში 1 ჰექტარზე სასუქის შეტანა ყველაზე დაბალია — 23-30 კგ. მაშინ, როცა რუსეთში — 85 კგ, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთში — 130 კგ, ხოლო მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში 700 კგ-მდეა. აქედან გამომდინარე, მოსავალიც მცირეა ჩვენთან.

ქიმიკოსების, აგროქიმიკოსების და აგრონომების პარტნიორობა და მათ შორის ურთიერთმოვალეობის განაწილება საბოლოო პროდუქციის მიღების შეფასებით აუცილებელია და სასწრაფოდ გადასაწყვეტი. ვფიქრობ, უნდა შეიქმნას ახალი სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანდებიან სასუქების მწარმოებლები საქსოფნაყოფიერებასთან და აგრონომებთან ერთად.

არ შეიძლება ცალკე არ ითქვას ქალაქ რუსთავის სამრეწველო ობიექტებისა და მთლიანად ქალაქის შესახებ. ქალაქი რუსთავი რესპუბლიკის ყველა ქალაქისაგან განსხვავებულია არა მარტო იმით, რომ აქ კონცენტრირებულია მძიმე მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, არამედ შრომის სპეციფიკის მსგავსებით პრაქტიკულად ერთი საინჟინრო მეცნიერების ჩარჩოებში: მეტალურგია, ქიმია, სამშენებლო მასალები, მშენებლობა და მანქანათმშენებლობა, დღეს მეტალურგთა საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ შეიცვალოს მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესები და მზა ნაწარმის ასორტიმენტი, რის შედეგადაც გამოთავისუფლებულ სამრეწველო ფართზე შესაძლებელი იქნება განვითარდეს ფერადი მეტალურგია, რომლის ძირითადი ნედლეული ჩვენვე მოგვეპოვება (მადნეულის, კვაისის, ურავის, ცანის და სხვა ფერადი მეტალების საბადოები), მით უმეტეს, რომ ყველა ამ საბადოს გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები ჩვენი მეტალურგებისაგანაა დამუშავებული და ოქროს საბადოს გადამუშავების ტექნოლოგიისათვის ყველაზე ძვირადღირებულ ნედლეულსაც ქალაქ რუსთავის ქიმიკოსები („აზოტი") აწარმოებენ (ის ერთადერთია მთელ ევროპაში).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, რუსთავს სხვა უპირატესობაც გააჩნია: დღეს განვითარებულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები მაღალტექნოლოგიურია, ამიტომ მიზანშეწონილია ამ მრეწველობის კონცენტრაცია ქალაქ რუსთავში. ის საუცხოოდ იქნება კოოპერირებული ადგილობრივ მრეწველობასთან. მიზანშეწონილობას განაპირობებს ისიც, რომ რუსთავი გარემოცულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვმოსავლიანი რაიონებით — გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი.

რუსთავი ენერგორესურსების გამოყენების მხრივაც გამორჩეულია, რადგანაც მისი მრეწველობა ყველაზე ენერგოტევადია, ელექტროენერგიის მოხმარება — 200 მგვტ, ბუნებრივი გაზი — 120 ათასი კუბური მეტრი დღეღამეში, სამრეწველო მოთხოვნილებისათვის მტკვრის წყლის დიდი რაოდენობით გამოყენება და მისი გადამუშავება ურთულესი ქიმიური პროცესებით და სხვა. ამის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შეიქმნას ერთიანი ენერგეტიკის სამსახური — ცენტრი, რომელიც ქალაქსაც და მის მრეწველობასაც უზრუნველყოფდა ენერგეტიკის ყველა სახეობით, მათ შორის, სასმელი წყლითაც.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ზემოთ თქმულიდან?

პირველი. ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისთვის აუცილებელი პირობაა მძიმე მრეწველობის ეკონომიკური მაჩვენებლების უმოკლეს დროში გაუმჯობესება, აქედან გამომდინარე, მისი გადაიარაღება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, დარგთაშორისი საწარმოო, ტექნიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ახლებურად განხორციელება, რისთვისაც, ვფიქრობ, აუცილებელი იქნება სამთავრობო სტრუქტურის კოორდინაციით ჩამოყალიბდეს მუშა ორგანო, რომელშიც გაერთიანდებიან გამოცდილი ინჟინრები, მეცნიერები და შესაბამისი დარგების წარმომადგენლები.

მეორე. ვინაიდან მძიმე მრეწველობა ელექტროენერგიის არა მარტო ყველაზე დიდი მომხმარებელია, არამედ მწარმოებელიც, მიზანშეწონილად მიმაჩნია განხილული იქნეს საქენერგოსა და მძიმე მრეწველობის ურთიერთობის ახალი მექანიზმის შექმნის საკითხი.

მესამე. ვინაიდან ჩვენი წიაღისეული სიმდიდრე — ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, რომლის მარაგი რესპუბლიკაში საკმარისია, თავისი თვისებებით გაცილებით სჯობს შემოტანილ ანალოგიურ თბომშემცველებს და მნიშვნელოვანი ნედლეულია უფრო მეტად ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორიცაა: მეტალურგია, ქიმია, ნავთობქიმია და სამშენ მასალათა წარმოება, დაუშვებელია მათი გამოყენება მხოლოდ სათბობად, მიზანშეწონილად მიმაჩნია მათ ბაზაზე რესპუბლიკაში განვითარდეს მაღალტექნოლოგიური საწარმოები, რომელთა ძვირადღირებული პროდუქცია ქვეყნის ბიუჯეტის შევსების სერიოზული წყარო იქნება. აქედან გამომდინარე, უნდა იქნეს სამეურნეო სტრუქტურა, რომელიც გააერთიანებს სათბობის მომპოვებელ, გადამამუშავებელ და რეალიზაციის ორგანიზაციებს (საქნავთი, საქნახშირი, საქგაზი).

მეოთხე. ქალაქ რუსთავის სამრეწველო ბაზა და მისი გარემოცვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვმოსავლიანი რაიონებით — გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი — სრულ გარანტიას იძლევა, რომ რუსთავში საფუძველი ჩაეყაროს კვების პროდუქტების მაღალტექნოლოგიურ წარმოებას.

მეხუთე. რუსთავის სამრეწველო პოტენციალის სრული ამოქმედებისათვის მიზანშეწონილია, აქ შეიქმნას ერთიანი ენერგეტიკული სამსახური — ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის მრეწველობას ელექტროენერგიით, ნავთობპროდუქტებით, სათბობით, სამრეწველო და სასმელი წყლით.

მეექვსე. მეტალურგების და ქიმიკოსების მდიდარი საინჟინრო, საწარმოო და სამეცნიერო გამოცდილების რეალიზაციისა და ფერადი მეტალურგიის შექმნისა და განვითარებისათვის დაიწყოს ამ ქარხნების პროექტირება და მშენებლობა.

აი, მოკლედ ჩემი მოსაზრებები, რომელთა რეალიზაცია, იმედი მაქვს, საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ზურაბ კერვალიშვილი.

რუსეთი არჩევნების წინ

(დასასრული)

წინათ, 1990 წელს იქნა ხელმოწერილი. ცხადია, რომ დღევანდელ ევროპას ცოტა რამ აქვს საერთო 1990 წლის ევროპასთან. უპირველეს ყოვლისა, კარდინალურად შეიცვალა სამხედრო ძალთა თანაფარდობა, რომელიც საფუძვლად დაედო ხსენებულ ხელშეკრულებას. რუსეთის სამხედრო და ანალიტიკურ წრეებში დაბეჯითებით მიუთითებენ ე. წ. საფლანგო შეზღუდვის პრობლემაზე, რომელიც ახალი სიტუაციის (საბჭოთა კავშირის დაშლის) გათვალისწინებით წამგებიან მდგომარეობაში აყენებს რუსეთს.

პირველ რიგში, საკითხი ეხება ჩრდილოეთ კავკასიას. საინტერესოა, რომ აღნიშნულ საკითხში რუსეთის პრეტენზიების ლოგიკურობას აღიარებენ რიგი დასავლელი დამოუკიდებელი ექსპერტებიც. სექტემბრის დამლევს ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა რუსეთის მოთხოვნები, კერძოდ თანხმაა, რომ საფლანგო შეზღუდვები არ გავრცელდეს ფსკოვის, ნოვგოროდის, ვოლოგდის, ასტრახანისა და ვოლგოგრადის ოლქებზე. რუსეთის სპეციალისტების მტკიცებით კი საფლანგო სამხედრო ოკრუგების „გეოგრაფიული" გადანაწილება არაფერს არ ცვლის, ვინაიდან ხსენებულ რაიონებში არ არის თავმოყრილი რუსეთის ჩვეულებრივი შეიარაღება. რასაკვირველია, ეს იციან ნატოს სტრატეგოსებმაც. დამატებით გასათვალისწინებელია აშშ-ში გრაჩოვის ოქტომბრის ვიზიტის შედეგები.

ანტიდასავლურად განწყობილ რუს ნაციონალ-„დერჟავნიკებს" მშვენიერ საპროპაგანდო მასალას აძლევს ბოლო ხანებში დასავლეთში მომრავლებული საექსპორტო დასკვნები თუ სქელტომიანი გამოკვლევები რუსეთის მომავალზე. ივლის-აგვისტოში არ დარჩენილა „პატრიოტული" გაზეთი თუ ჟურნალი, ვრცელი რეცენზიები რომ არ გამოექვეყნებინა აშშ-ში გამოცემულ გამოკვლევაზე — „2010 წლის რუსეთი და რას მოასწავებს ეს მსოფლიოსათვის". თუ რეცენზენტებს დავუჯერებთ, წიგნში დეტალურად არის გადმოცემული რუსეთის ფედერაციის დაშლის სცენარი სახელწოდებით „გაჭიანურებული დამშვიდობება".

ამერიკელ ავტორთა (ნაშრომი კოლექტიურია) პროგნოზით, ფედერაციას პირველნი დატოვებენ სანკტ-პეტერბურგი, მურმანსკი და არხანგელსკი, რომელნიც შექმნიან ამორფულ კონფედერაციას. ხსენებული რეგიონის მთავარი კოზირია ტიუმენ-პეჩორისა და ბარენცის ზღვის გაზი და ნავთობი. თავის მხრივ, წიგნის რუსმა რეცენზენტებმა ისიც დაადგინეს, რომ სწორედ ეს რაიონი აირჩიეს კაპიტალდასაბანდებლად ამერიკის ნავთობის კომპანიებმა. შემდგომში უკვე შორეული აღმოსავლეთის რიგიც მოვა. აქ უკვე იაპონელები და სამხრეთკორეელები გაშლიან ფრთებს, რომელნიც ყოველგვარი გართულების გარეშე იყიდიან კონტროლს ადგილობრივ წიაღისეულზე. საბოლოო ჯამში, რუსეთის დღევანდელი შორეული აღმოსავლეთი „წყნარი ოკეანის სივრცის" შემადგენელ ნაწილად და მოსკოვის მძლავრ კონკურენტად უნდა იქცეს. არც სამხრეთში ელის ნაკლები უსიამოვნებანი მოსკოვს; აქ წარმოიქმნება „სამხრეთ-რუსული კონფედერაცია" საკუთარი პორტებით ნოვოროსიისკსა და ტუაფსეში და სამრეწველო ცენტრებით როსტოვსა და კრასნოდარში.

ალაჰმა უწყის, რა წინაპირობებითა და მონაცემებით ხელმძღვანელობდნენ ამერიკელი ნოსტრადამუსები ასე „ზუსტად" და დეტალურად რომ დააქუცმაცეს რუსეთის ფედერაცია, მაგრამ რუსეთის გარკვეულ წრეებსა და პოლიტიკოსებს დემაგოგიისათვის კარგი თემა რომ მისცეს, ფაქტია.

ჩანს, ისე სწრაფად და ყველასათვის ისე მოულოდნელად დაიშალა საბჭოთა კავშირი, რომ მის სამართალმემკვიდრე რუსეთსა და დასავლეთს შორის ახალ ურთიერთობათა მოდელზე ვერც ერთმა მხარემ ვერ მოასწრო სერიოზულად დაფიქრება.

თუ ადრე დასავლეთს საბჭოთა კავშირთან სამხედრო-პოლიტიკური ქიშპობისგან ჰქონდა ქრონიკული თავის ტკივილი, ახლა უკვე რუსეთი აღარ ესახება როგორც პოტენციურად მძლავრი სავაჭრო კონკურენტი, მით უმეტეს, რომ დასავლელ ექსპერტთა აღიარებით დღევანდელ დღეში მხოლოდ რუსეთსაც შეუძლია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს დასავლეთ ევროპასა და აშშ-ს მთელ რიგ სფეროებში. ამიტომ ობიექტურად არაფერია იმაში გასაკვირი, თუ დასავლეთი ყველა ღონეს ხმარობს, რათა შეძლებისდაგვარად შეაკავოს რუსეთის საგარეო-სავაჭრო პოტენციალი, მსოფლიო ბაზრებზე არ გაუშვას იგი. ეს უკვე ჩვენი საუკუნის ნორმალური რეალობაა, არც დასავლეთელი მოკავშირეები ინდობენ ერთმანეთს, როდესაც საკითხი ბაზრებს ეხება, მაგრამ პერმანენტულად გაჩაღებული სავაჭრო ომები საფრანგეთსა და აშშ-ს, იაპონიასა და აშშ-ს, მთლიანად ევროპის საერთო ბაზარსა და აშშ-ს შორის, ოდნავადაც არ აუარესებს სტრატეგიულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს. რუსეთის შემთხვევაში სულ სხვა ვითარებაა — აქ ნებისმიერი უთანხმოება, კონკურენცია, იმანენტურად ღებულობს პოლიტიკურ ელფერს (თუ სამხედროს არა). საკმარისი იყო დასავლეთს თავისი უკმაყოფილება გამოეთქვა რუსეთის მიერ ირანისათვის ბუშერში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით (რუსეთშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს ამ პროექტს), რომ ყალყზე დადგნენ რუსი ნაციონალ-პატრიოტები — ვერაგ დასავლეთს რუსეთის გაღატაკება და შემდეგ დამონება სურსო. მათზე არც ის ფაქტი მოქმედებს, რომ ირანთან უკვე გაფორმებული ანალოგიური ხელშეკრულება გააუქმა ჩინეთმა (300-მეგავატიანი სიმძლავრის ორი რეაქტორის მშენებლობის თაობაზე). თავდაპირველად ისევე, როგორც მათი რუსი კოლეგები, ჩინელი სპეციალისტებიც ამტკიცებდნენ, რომ ხელშეკრულების ტექნიკური მხარე აბსოლუტურად გამორიცხავს ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნასო. იმ გარემოებაზეც მიუთითებდნენ, რომ როგორც რეაქტორები, ასევე მათ მიერ გამომუშავებული საწვავი, ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს კონტროლის ქვეშ იქნებაო, მაგრამ ასეთმა არგუმენტებმა ვერ იმოქმედა ამერიკელ ექსპერტებზე, რომელნიც ასეთივე დაბეჯითებით იმეორებდნენ, რომ ჩინეთთან და რუსეთთან დადებული ხელშეკრულებები საშუალებას მისცემს თეირანს ხუთ წელიწადში საკუთარი ბირთვული ბომბი შექმნასო.

ასეთ სიტუაციაში თვით ამერიკელთათვისაც მოულოდნელად, სახელმწიფო მდივან კრისტოფერთან სექტემბრის შეხვედრის დროს, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციან ციჩენმა სენსაციური განცხადება გააკეთა, რომ ჩინეთი უარს ამბობს სამი წლის წინათ ირანთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. როგორც ჩანს, პეკინში, საერთაშორისო რეპუტაცია ამჯობინეს ფინანსურ მოგებას ასე რომ, თუ ხუთი წლის მერე ირანს მართლაც აღმოაჩნდება ბირთვული იარაღი, პეკინი თავისუფალი იქნება სერიოზული ბრალდებისაგან, რომ ეს მისი ხელშეწყობითაც მოხდა.

რუსეთთან მიმართებაში კი თავისთავად იბადება კითხვა — ნუთუ ასე უჭირს დღეს მოსკოვს, რომ ერთ მილიარდ დოლარად (ირანთან კონტრაქტის ღირებულება) ცვლის საერთაშორისო რეპუტაციას? რასაკვირველია, მილიარდი დოლარი ნებისმიერ შემთხვევაში მილიარდი დოლარია, მაგრამ ის არგუმენტი მაინც არ არის; თეირანთან კონტრაქტის გაწყვეტას დიდი ხნით მოჰყვება ირანის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობათა გაუარესება.

საკუთარ თავზე ვერ ავიღებ ოფიციალური მოსკოვის კურსის გამართლებას (ისევე, როგორც დაგმობას), მაგრამ სამოქმედო მოტივების ახსნა ნამდვილად შეიძლება: სანამ რუსეთი დასავლეთი სამყაროს ორგანულად შემადგენელ ნაწილად არ იქცევა, სანამ იმის მყარი გარანტია არ ექნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დასავლეთი ცხვირწინ არ მიუჯახუნებს კარს, იგი იძულებულია ალტერნატიულ სავაჭრო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ კავშირებზე იზრუნოს: ტრადიციულ კავშირთა აღდგენა კი (პირველ რიგში, ეს ერაყს ეხება), მუდამ ყამირის გატეხვაზე იოლი იყო, არც იმ რეალიებზე შეიძლება თვალის დახუჭვა, რომ რუსეთში კიდევ დიდხანს გასტანს დასავლეთისა და იგივე ნატოსადმი ეჭვი და უნდობლობა.

არ ვიცი, სამხედრო თვალსაზრისით რამდენად აუცილებელი იყო ნატოს ავიაციის მიერ სერბების პოზიციის დაბომბვა (გამორიცხული არ არის, რომ ამან პოზიტიური როლი შეასრულოს გაჭიანურებული კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებაში), მაგრამ რუსეთის პოლიტიკურ სპექტრში რომ კიდევ უფრო გააძლიერა საერთო ანტიდასავლური განწყობილება, ეს ფაქტია.

„ცივი ომის" უკანასკნელი (თუ მართლაც უკანასკნელია) რეციდივების ლიკვიდაციისა და ევროპაში ნდობის ფაქტორის გაძლიერების ინტერესების გათვალისწინებით, ძნელი დასაჯერებელია, რომ კონსტრუქციული სქემა იყო გაეროსა და ნატოს 10 აგვისტოს საიდუმლო მემორანდუმი, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის ზურგს უკან გაფორმდა ზაგრების მახლობლად. როგორც დღეს უკვე ცნობილია, ხსენებული მემორანდუმით გაერომ ძირითადი სამხედრო ოპერაციები ნატოს გადაულოცა, რაც აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევდა კრემლის კაბინეტებში.

გაზეთმა „პრავდამ", რასაკვირველია, ყველაფერში საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი დაადანაშაულა, რომელმაც (გაზეთის ვერსიით) ჯერ კიდევ 21 ივლისს იცოდა ყოველივე. მეორე ვერსიით, კოზირევი მონაწილეობდა „კონტაქტის ჯგუფის" ლონდონის შეხვედრაში, მაგრამ დაგეგმილი მემორანდუმის თაობაზე იგი საქმის კურსში არ ჩააყენეს. ამ ვერსიის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ 12 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რუსეთის წარმომადგენელმა ლავროვმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ საიდუმლო მემორანდუმის ტექსტს გასცნობოდნენ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები. გენერალური მდივნის წარმომადგენელმა თუმცა დაადასტურა მემორანდუმის არსებობა, მაგრამ უარი თქვა მისი შინაარსი გაეცნო დამსწრეთათვის. რამდენად გაანეიტრალებს საერთო დაძაბულობას გრაჩოვის მოლაპარაკებანი ამერიკელ კოლეგასთან, ამას მომავალი გვიჩვენებს.

თუ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ყოფილი იუგოსლავიის მოვლენები იქცა ანტიდასავლური განწყობილების კატალიზატორად, დასავლეთის ანალიტიკურ წრეებში ანალოგიურ როლს წარმატებით ასრულებს რუსეთის პოლიტიკა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობაში. აქ უკვე რუსეთის სამხედრო როლი და მოღვაწეობა იწვევს ეჭვსა და შეშფოთებას. არა, გულს ნუ დავიმშვიდებთ ილუზიებით, რომ ლონდონის სტრატეგიული კვლევის საქვეყნოდ ცნობილი ინსტიტუტის ან აშშ-ის „მემკვიდრეობის ფონდის" ექსპერტებს მოსვენებას არ აძლევს აფხაზეთიდან ლტოლვილ ქართველთა ბედი და საკუთარ სახლებში მათი დაბრუნების პერსპექტივა. უბრალოდ, ამ პრობლემას სამართლიანად განიხილავენ, როგორც უნივერსალურ ლაკმუსის ქაღალდს, რომელმაც ნათელი წარმოდგენა უნდა შექმნას რუსეთის ნეოიმპერიულ თუ ანტიიმპერიულ ანატომიაზე. თუ კონკრეტულად აშშ-ის მაგალითზე ვიმსჯელებთ, აქ კვლავინდებურად მძლავრობს კონსერვატიულ პრინციპებზე მდგომ ექსპერტთა პოზიცია, რომლის მიხედვითაც დღევანდელი რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი ყოფილი საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ზუსტი გამეორებაა. ამერიკელ პოლიტოლოგთა თვალსაზრისს ძირითადად მათი დასავლეთევროპელი კოლეგებიც იზიარებენ. ოკეანის ორივე მხარეს მოჰყვა ერთნაირად უარყოფითი რეაქცია რუსეთის ხელმძღვანელობის საჯაროდ გამოთქმულ სურვილს საერთაშორისო საზოგადოებრიობისაგან მიეღო განსაკუთრებული სტატუსი „ახლო საზღვარგარეთში" კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში. ხსენებული ინიციატივა (პირველ რიგში, საქართველოსა და ტაჯიკეთში) თითქმის ავტომატურად იქნა შეფასებული იმპერიის აღდგენის დაუფარავ მცდელობად. დასავლელ კონსერვატორთა რწმენით (მათი აზრი კი, როგორც უკვე ითქვა, დღეს თითქმის გადამწყვეტია), რუსეთის არმიის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს რუსეთის გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელება, მის საზღვრებზე კვაზიდამოუკიდებელი ბუფერული ზონის შექმნით.

ამ გაზაფხულზე, ამერიკის აკადემიურ-ანალიტიკური წრეების (მათ აზრს კი ტრადიციულად უწევენ სერიოზულ ანგარიშს, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტსა და თეთრ სახლში, ასევე კაპიტოლიუმის ბორცვზე) დიდი ინტერესი გამოიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტის ექსპერტთა მოხსენებამ, რომელსაც წითელ ზოლად გასდევდა თეზა „ახლო საზღვარგარეთში" რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნების სტაბილურობის თაობაზე. მოხსენების ავტორების აზრით, რუსეთის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა საბჭოთა კავშირის ყაიდის ეკონომიკური და სამხედრო კავშირის შექმნა, სადაც მას წამყვანი როლი დაეკისრება. მოხსენებაში ვხვდებით კონფლიქტის ზონებში რუსეთის არმიის როლის არასახარბიელო შეფასებასაც, რომელიც კონფლიქტის ესკალაციით უფრო დაკავებული, ვიდრე მოწესრიგებით, ამიერკავკასიისა და ტაჯიკეთში კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის განუწყვეტელი მანევრირება იმის უტყუარი ნიშანია, რომ რუსეთს ხელი არ აუღია კლასიკურ კოლონიურ პრინციპებზე — „გათიშე და იბატონე", ასკვნიან მოხსენების ავტორები.

თუ რამდენად შეესატყვისება სიმართლეს დასავლელ ექსპერტთა დასკვნები და პროგნოზები, ცალკე მსჯელობის თემაა, ხოლო რეალური სინამდვილე კი იგივე დასავლეთის წამყვან პოლიტიკოსებს მეტი პრაგმატიზმისაკენ უბიძგებს; ცხადია, რომ სიკეთეს არავის მოუტანს დიდი პოლიტიკისაგან რუსეთის იზოლაციის ცდები: განაწყენებული, მარტო დარჩენილი, უკიდურესობამდე მისული და წონასწორობადაკარგული რუსეთი ერთნაირად საშიში იქნება როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვებისათვისაც. ამიტომაც იყო, რომ ნატოს თავდაცვის მინისტრთა ვილიამსბერგის შეხვედრაზე, ოქტომბრის დასაწყისში, ერთი შეხედვით სენსაციური, სინამდვილეში კი მოსალოდნელი და გონიერი გადაწყვეტილება მიიღეს ბლოკის თავდაცვის მინისტრებმა — როგორც მინიმუმი, 1997 წლამდე, პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგან ნატოს გაფართოების თვალსაზრისით. ამ პერიოდისათვის გარკვეული იქნება კლინტონისა და ელცინის შემდგომი პოლიტიკური კარიერაც და შიდაპოლიტიკური სიტუაციაც რუსეთსა და ამერიკაში.

სოსო ცინცაძე.

ინფორმაცია

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები

როგორც საქართველოს განათლების სამინისტრო იტყობინება, მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები დაიწყება ა. წ. 28 დეკემბერს და გაგრძელდება 1996 წლის 8 იანვრამდე.

„თბილისი ჩვენი საფიცარია"

საზეიმო განწყობილება იყო ამ დღეს თბილისის 192-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი — ლონდა შუბურიშვილი): მოსწავლეებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს დარბაზში შეკრებილ მეგობრებს, მშობლებს, პედაგოგებს, სცენაზე იყო ძველი თბილისი თავისი განუმეორებელი კოლორიტით, განუყრელი პერსონაჟებით — ყარაჩოღელებით, მედუდუკეებით, კინტოებით.

„თბილისი ჩვენი საფიცარია", — ასე ერქვა ლიტერატურულ-მხატვრულ კომპოზიციას, რომელიც მოზარდებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნაზო ქართველიშვილის ხელმძღვანელობით მოამზადეს და რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ახმათ ხურციძე.

ობელისკები აიგება, მაგრამ არა მკვლელების უკვდავსაყოფად...

მიღებული ცნობების თანახმად, ვ. არძინბამ ხელი მოაწერა ეგრეთ წოდებულ ბრძანებულებას ცნობილი ტერორისტის შამილ ბასაევის „აფხაზური ბატალიონის" ხსოვნის უკვდავსაყოფად. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „აფხაზი ხალხის წინაშე დამსახურებისა და ძმური დახმარებისათვის ქალაქ სოხუმში აღიმართოს ობელისკი ქართველ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ ჩეჩენ გმირთა პატივსაცემად".

აღნიშნული ბანდიტური რაზმი აფხაზეთში ეომებოდა მხოლოდ მშვიდობიან, უიარაღო ქართველ მოსახლეობას, ძირითადად ქალებს, „მოხუცებს" და ბავშვებს, აწიოკებდა მათ ჯენოციდით. რაც შეეხება ამ ფორმირების დაღუპვას, 1995 წლის 13 ივლისის „კომსომოლსკაია პრავდაში", კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ლევ როხლინი წერს: „ჩემი ბიჭები იბრძოდნენ შამილ ბასაევის რაზმის წინააღმდეგ გროზნოში და თითქმის ორსავე აფხაზეთში მეომარი მისი კაცისმკვლელები. მისი ბატალიონისაგან მაშინ სულ რვა კაცი გადარჩა, ხელთა მაქვს რადიოგადაცემა, როცა იგი ეთერში საუბრობდა: „ჩვენ დაგვამარცხეს, ვერ გამოგვყავს დაჭრილები და დახოცილები", იმ დღეებში გროზნოში შ. ბასაევისათვის მთავარი საკითხი იყო თავი როგორ გადაერჩინა, და გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ თავს გმირად არ წარმოაჩენდა და წინ არ მიძვრებოდა..."

ობელისკები აფხაზეთში აიგება, მაგრამ არა იმ ბანდიტებისა და მკვლელების უკვდავსაყოფად, რომლებმაც სისხლით მორწყეს ოკუპირებული ავტონომიური რესპუბლიკა.

ოპერაცია „ბადე-95" გრძელდება

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტომაგისტრალების განყოფილებებმა და დედაქალაქის საგზაო პოლიციის სამმართველომ 10 დეკემბრიდან განახორციელეს ოპერაცია „ბადე-95". ამ ღონისძიების შედეგად გამოვლინდა მოძრაობის წესების დარღვევის 654 ფაქტი. მათ შორის: 76 მძღოლი ტრანსპორტს გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, 4 აღმოჩნდა მართვის მოწმობის გარეშე, ხოლო 3 — სახელმწიფო ნომრის გარეშე, 17 პირს არ ჰქონდა გავლილი ტექნიკური დათვალიერება, გასწრების წესები დაარღვია 30 მძღოლმა, შეიქმნა 35 ავარიული ვითარება.

თამარ ძგალი.

ეს ჩვენი საქართველოა!

სუსხიანი დილა.

სიმონ კილაძის ფოტო.

ბავშვთა თეატრი

ამღერებული ბურატინო

ამ თეატრს „პრესტიჟი" ჰქვია და ეჭვიც არ არის, სულ მალე მართლაც პრესტიჟული კოლექტივი გახდება. იმედს კი გვაძლევს ის, რომ ნიჭიერ და მუსიკალურ ბავშვთა ანსამბლს ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებიან თავიანთ საქმეზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **მანანა თოდაძე** და მისი მეუღლე კომპოზიტორი **ბორის შხიანი**.

9-10 დეკემბერს თეატრმა ახალი დადგმა განახორციელა — ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში მოსულ ნორჩ მაყურებელს წარუდგინა მუსიკალური სპექტაკლი „ბურატინოს თავგადასავალი" (რეჟისორი — **იური ფოფხაძე**, ქორეოგრაფი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ნუგზარ მახათელი**).

ვიხილეთ კარგად შეკრული, მსუბუქი და ლაღი წარმოდგენა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ საქართველოში მართლაც ამოუწურავია ნიჭი, აზრი და შემოქმედება.

• • •

სურათებზე: სცენები საბავშვო მუსიკალური სპექტაკლიდან „ბურატინოს თავგადასავალი".
სიმონ კილაძის ფოტო.

უჩვეულო ასპარეზობა

პარიზში, სადაც XVI ს-ის დასაწყისში პირველად დაიწყო ფარიკაობის აკვანი, რამდენიმე დღის წინ დასრულდა მეექვსე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი უნივერსიტეტებს შორის. 17 ქვეყნის 47 გუნდს შორის მოასპარეზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ: არჩილ ლორთქიფანიძე (ხმალი), ნიკა ასათიანი და ხათუნა ჰუმბურიძე (რაპირი), ალეკო ზაზაშვილი და ნინო ბეროძე (დაშნა).

საბურთალოს რაიონის გამგებლის ანდრო ზოდელავას და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარის მოადგილის ბადრი მუსელიძის უანგარო ქველმოქმედების წყალობით ამ ტურნირზე ჩვენმა ნაკრებმა მეოთხეჯერ მიიღო მონაწილეობა. ეს პიროვნებები ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ პარიზში და დიდი ინტერესი გამოიჩინეს ტურნირის მსვლელობისას. დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი მორის სახვაძე და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" უფროსი მწვრთნელი ფარიკაობაში სიმონ მამულაშვილი.

ეს ტურნირი საკმაოდ უჩვეულო ფორმით იმართება: არის მხოლოდ გუნდური ასპარეზობა და გუნდში მონაწილეობს ყველა საეობიდან თითო-თითო წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ ნაკრებები საკმაოდ ძლიერი მოფარიკავეებით იყო დაკომპლექტებული და ჩვენი დებიუტი ამ ტურნირზე: მეხუთე ადგილი, შეიძლება წარმატებულადაც ჩაითვალოს, რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისთვისაც ცნობილია, თუ რა დამქანცველია 3 დღე შეუსვენებლად დილიდან საღამომდე უამრავი ბრძოლის ჩატარება, ასევე თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, როგორშიც ჩვენს სპორტსმენებს გვიხდება ვარჯიში. საერთო ჯამში კი ტურნირის უძლიერესი სამეული ასე გამოიყურებოდა: I ტურნირი (ეროვნული ნაკრებები): უკრაინა, უნგრეთი, რუსეთის I გუნდი. II ტურნირი (უნივერსიტეტებს შორის): რუსეთის I გუნდი, უნგრეთი, გერმანია.

ხათუნა ჰუმბურიძე,
საქართველოს ნაკრების წევრი, თსუ-ს ჟურნალისტის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

[illegible]

პარლამენტართა მარცხი

ფეხბურთის საერთაშორისო დღეს — 10 დეკემბერს საინტერესოდ წარიმართა საქართველოს პარლამენტისა და დიდუბის ნაკრები გუნდების საფეხბურთო მატჩი.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე კანონმდებელთა წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივი უნდა გამოსულიყო, მაგრამ წესრიგის დამცველებმა ვერ მოახერხეს შეხვედრაზე გამოცხადება და გენერალ გელა ლანჩავას ძალისხმევით სასწრაფოდ შეიკრიბა დიდუბელთა გუნდი, რომელშიც გამოირჩეოდნენ ძველი ფეხბურთელები.

„ახალგამომცხვარ" ნაკრებს არ გასჭირვებია უპირატესობის დამტკიცება და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის — ოთარ გუნთაძის საფინალო სასტვენმა მათი გამარჯვება დააფიქსირა — 8:4. გოლები გაიტანეს: თენგიზ სულაქველიძემ (5), მამუკა ფანცულაიამ (2), ოთარ კორღალიძემ („დიდუბე"), დავით ლორთქიფანიძემ (2), გია ლომაძემ და მანუჩარ მაჩაიძემ (პარლამენტი).

ია მამადაშვილი.

ოდეს სიცივისა და სიბნელის ჯანღიდან მზე ამოხდების

„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღეს შენ თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე", — მოძღვრავდა ერს ილია. ახლა შემოგვაკლდნენ ასეთი მოძღვრები. შესაბამისად იმ კაცთა რიცხვმაც იკლო, ილიას წესს რომ „დარგავდა" წესად. დარგვა იქით იყოს, ოღონდ ყველაფერს არ გაჩეხავდნენ, გაუმაძღარი ლაფანგამიანივით ტყეებს არ შეესეოდნენ, ვირთხასავით საწყობებს და სახელმწიფო ხაზინას არ გამოხრავდნენ...

ვინც ცოტა ხნით მაინც დაფიქრებულა მამულის ბედზე, იმ პრობლემათა შორის სარეველასავით რომ მოუმრავლდა ჩვენს ქვეყანას, იოლად გამოარჩევდა უმთავრესს — ეკოლოგიურ პრობლემას. რომელი ხუდონჰესი (თუნდაც ამაზონჰესი) დაატეხდა ბუნებას იმდენ უბედურებას, რამდენსაც უხუდონჰესობა ატეხს! ამას წინათ, ძველ ჟურნალში, ერთ მრუმე ფანტასტიკურ მოთხრობას წავაწყდი: მზის დაბნელება რამდენიმე დღე გრძელდება. სიცივით გათოშილი ხალხი საცხოვრებელ სახლებს ცეცხლს უკიდებს. ერთმანეთის მიყოლებით იფუფქება დიდი ქალაქის კვარტალები, მალე მთელი ქალაქი ნაცარტუტად იქცევა...

მზე თითქოს არ დაგვბნელებია, მაგრამ ძველებურად აღარ გვათბობს. ხალხს ჯერ საცხოვრებელი სახლების საწვავად გამოყენება არ დაუწყია, მაგრამ ბევრიც არ აკლია. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ვერც ერთ ქალაქსა და რაიონში ხეს ვერ ნახავთ, ცულისა და ხერხის ძალა არ ეგრძნოს; რაც მტერ-მოხვდურის ცეცხლს გადაურჩა, ვითომ-მოყვრის მსხვერპლი გახდა.

მარტო სიცივე და სიბნელე არ აიძულებს ჩვენს თანამოქალაქეს ხე-ტყე გაჩეხოს, ამ ხე-ტყით ოქროს დაგროვების დიდი ცდუნებაც ამოძრავებს. ასე რომ, საქართველოს უნიკალურ ფლორასთან მებრძოლი ხალხი ორ კატეგორიად იყოფა: ერთნი, ვინც ცდილობენ ცივ ზამთარს გადაურჩნენ და მეორენი, თანამედროვე ბიზნესმენები, ვინც იმდენ ოქროს დაუტოვებენ შთამომავლობას, რომ, რა თქმა უნდა, ათმაგი ფასებით იოლად შეისყიდონ იგივე ხე-ტყე და საწვავი საზღვარგარეთ.

დაგზაფრავთ ბორჯომის, აჭარა-გურიის, სვანეთისა და კახეთის მთიანეთის ტყეების ზილვა. ხელისუფლების თუ არა, ღვთის რისხვის მაინც არ გეშინიათ? შეგაწუხებთ ცივი, ხორშაკი ქარების იმედად დატოვებული ველ-მინდვრები, ქალაქების მოტიტვლებული ქუჩები. ხვალ მოსავალი არ მოვა. ბაღ-ვენახები გადახმება, ბორჯომის უნიკალური მინერალური წყლები დაშრება. ერთი დღით ხომ არ მოსულხართ ამ ქვეყანაზე?

სვანეთიდან გარდაბანში სარეალიზაციოდ ჩამოტანილი ოთხი მანქანა ძვირფასი ხე-ტყის მასალა დააკავეს. ყოველდღიურად იჭერენ ერთი-ორი ძირი მურყნის, ალვის, წიფლის თუ მუხის მომჭრელს, ადგენენ სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის დონეს. ყველაფერი ეს ზღვაში წვეთია, ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტობრივად, მინიმალურადაც არ უპასუხებს ხე-ტყის ჭრის მასშტაბს.

მძლავრობს ხე-ტყის მაფია. ის ხელუხლებელია. მისთვის კანონი, სამართალი არ არსებობს.

ჰკითხეთ, თქვენს მამა-პაპათ: რამდენი წელიწადი სჭირდება მუხის, წიფლის, კაკლის თუ სხვა მცენარის ნერგს, ზრდასრულ ასაკს რომ მიაღწიოს? ერთი თაობის სიცოცხლე არ ეყოფაო, გიპასუხებენ:

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ძველად ერთ ხეს რომ მოჭრიდნენ, ორს რგავდნენ, ტყის გამოყენებულ ნაწილს, როგორც მოხუცებულ ძვლებს, დრო და დრო ასვენებდნენ. ახლა მამა-ღმერთი ჩამოვა ციდან და განაახლებს გაჩეხილ ტყეებს?

სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის დონეს ადგენენ-მეთქი... მილიონობით დოლარი რომ ისესხონ და უმძლავრესი ელექტროსადგური ააშენონ ან ელ-ქუვეითიდან თბილისამდე ნავთობსადენი გამართონ, იმდენ ვალს არ დაუტოვებენ შთამომავლობას, რამდენსაც ქვეყნის ხელთუქმნელი ფლორის ექსპლუატაციით უტოვებენ.

იმედი ბოლოს კვდებაო!

ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას იმედი მაქვს, რაც უნდა იყოს, „მწვანეთა მოძრაობის" ყოფილი ლიდერია. თუ არა ბატონ ზურაბს, სხვას ვის უნდა ესმოდეს დაჭრილი ბუნების გულამოსკვნილი ტირილი!

მაინც რა ღმერთი გაგვიწყრა?!

წლეულს, კახეთში ყურძენი ვერ მოიყვანეს, შაბიამანი არ ჰქონდათ. ღვინის ფასმა ერთ ლარამდე აიწია. ტრადიციულად მდიდარი კახური ოჯახი შეტორტმანდა, დასუსტდა. ცოდვა ჩემიც მეყოფა, რაღა სხვისი დავიდო: სახელმწიფომ ასე თუ ისე, იზრუნა შაბიამნის მინიმალური მარაგის შემოსატანად, მაგრამ რად გინდათ?! — შარშან, რუსეთმა საქართველოს ოცი მილიარდი რუბლი ტექნიკური კრედიტი მისცა. თურქული კრედიტივით, ეს კრედიტიც გაანაწილეს. ერთი მილიარდი რუბლი 1000 ტონა შაბიამნის შემოსატანად ფირმა „ეგრისს" ერგო. „ეგრისის" პრეზიდენტმა მევლუდ ეგრისელაშვილმა მღვრიე წყალში თევზის დაჭერა დააპირა, 202 მილიონ რუბლად 272 ტონა შაბიამანი შეისყიდა, დანარჩენი — 798 მილიონი კი მიითვისა, მაგრამ ბოლოს თვალებში შაბიამანშეყრილი მაინც თავად დარჩა. მევლუდი დააკავეს, და, ეტყობა, მღვრიე, შაბიამნიან აუზში ბანაობას მიუსჯიან.

ქვეყანამ შეიტყო კომერციული ბანკის „ლუპარას" თავმჯდომარის ვლადიმერ ბოკერიას „საქმენი საგმირონი".

ახლა წესი აუგეს, გამოიჭირეს, ჯერჯერობით, 32 ათასი ამერიკული დოლარი დააბრუნებინეს.

ჩვენს ბიზნესმენებს ყველაზე კეთილშობილი პროფესიის წარმომადგენლები — ექიმებიც არ ჩამორჩნენ. ხობის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მიმოზა დადუამ და საწყობის გამგემ მალხაზ ჭითანავამ 4681 ლარის ჰუმანიტარული დახმარება მიითვისეს.

სესხს რომ დაბრუნება უნდა, აქამდე არ იცოდით?! — ერთი თეთრი ვალიც რომ მაქვს, არ მძინავს, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა „ბერიკონის" პრეზიდენტს ვლადიმერ სურგულაძეს და მთავარ ბუღალტერს ბონდო ლომთაძეს კი მშვენივრად ეძინათ; ერთი ბანკიდან გამოტანილი 23 ათასი ამერიკული დოლარის სესხი თავისი ეგონათ.

ასეთ სიტუაციაში არ უნდა გაგიკვირდეს, თუ ყოველთა წმინდათა ეკლესიის მღვდელი თეიმურაზ ბერიშვილი ბინაში პისტოლეტებს „კოლტსა" და „ჩესკა საბროევკას", რევოლვერ „ნაგანს" და ავტომატს შეინახავს, მამა-შვილი ერთმანეთს სასიკვდილოდ დაჭრიან, 89 წლის ბერიკაცი მატარებელს ჩაუვარდება, ახალგაზრდა კაცი მეცხრე სართულიდან გადმოხტება და.... რუსთაველი ვინმე შოთა ჭრელაშვილი საწარმოო გაერთიანება „აზოტიდან" ძლიერ მომწამლელ ნივთიერებას „ნატრიუმის ციანიდს" მოიპარავს.

...**იმ** გადაბუგულ ქალაქში, სანამ ადამიანები საკუთარი ცოდვით იწვიან, მზე გამობრწყინდება. სიხარულის ყიჟინას ხალხი სასოწარკვეთისა და უბედურების გმინვასაც ამოაყოლებს.

ჯობდა, რა თქმა უნდა, ჯობდა, მოეთმინათ და ქალაქი არ გადაეწვათ. ახლა გვიანია. ყველაფერი თავიდან უნდა აშენდეს!...

ზაურ მაქარაძე.

ამინდი

13 დეკემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0+5, დღისით +8+11, მთაში, ღამით — —0—5, დღისით 0+5 მაღალ მთაში — ღამით —2—7, დღისით 0+5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ზოგან თოვლი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით —2—7, დღისით 0+5, მთაში — ღამით —5—10, დღისით 0—5, მაღალ მთაში — ღამით —10—15, დღისით —3—8 გრადუსი.

თბილისში ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი, მცირე თოვლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით —2—4, დღისით +2+5 გრადუსი.

ხსოვნა

ზურაბ ბედოშვილი

მოულოდნელად 49 წლის გარდაიცვალა სახელმწიფო საფელდეგერო სამმართველოს ღვაწლმოსილი თანამშრომელი, კადრების განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ ალექსანდრეს ძე ბედოშვილი. იგი ამ სამმართველოში მუშაობდა 1969 წლიდან და თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა სამშობლოს სამსახურს. აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, მისი უმწიკვლო შრომა აღნიშნული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ზურაბ ბედოშვილის, გულისხმიერი მეგობრის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

კავშირგაბმულობის სამინისტრო; სახელმწიფო საფელდეგერო სამმართველო.

ვალიკო ბარკალაია

მოულოდნელად გამოეცალა ოჯახს ერთგული მეუღლე, გამრჯე და შრომისმოყვარე კაცი, კარგი შვილების მამა ვალიკო (ვალერიან) ბარკალაია.

სიცოცხლის ბოლომდე ენერგიულად შრომობდა მეტალურგიულ ქარხანაში, ვალიკოს მამობრივმა მზრუნველობამ და შრომისმოყვარეობამ შვილებიც მამის უსპეტაკეს გზაზე დააყენა. შეძენილი შვილიც (სიძე) ღირსეული ვაჟკაცი შეხვდა.

ვალიკო, ძმაო! შენი ცხოვრების უსაყვარლესი თანამგზავრი მეუღლე გაოგნებულია შენი უდროოდ წასვლით ამ წუთისოფლიდან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

შენი და-ძმანი.

გახსენება

მამუკა ჩლაიძე

მამუკა! ჩვენ ერთმანეთს არ ვშორდებოდით და წერილის წერაც არ გვჭირდებოდა, ახლა ორი წელი გავიდა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს და გწერ წერილს. იმედია წაიკითხავ.

ძალიან გვენატრები, დათუნა ამბობს, მამუკა ახალ წელს მოვა, გიორგის ხალხური ლექსი ჰქონდა სასწავლი, დედამ რომ შვილი გაზარდოს — ამასთანაო, დათოს ეუბნება, ეს ლექსი მამუკაზე არის დაწერილიო, სულ შენს ხსენებაში არიან შენი პატარა დისშვილები.

რა იქნება, მართლა დაგვიბრუნდე მამუკა და გაგვახარო. შენი სიცოცხლე ძალიან ხანმოკლე იყო, სულ ოცდახუთი გაზაფხული, მაგრამ სახელო, ბევრი რამ გააკეთე, კიდევ ბევრს ველოდი... დიდი შუქი ჰქონდა შენს სიცოცხლეს, წახვედი და ჩრდილი არ დაგრჩენია, ყველას ახსოვხარ, ყველას გვაკლიხარ, ჩემო პატარა შვილო და დიდო კაცო.

ბედნიერია მამაშენი, რომ ერთად ხართ, მაგრამ ჩემი გამწარებული სიცოცხლე შენით მომწონს, მეგობრისთვის თავდადებულო ვაჟკაცო.

მამუკა, იმედი მაქვს შენი სიმართლის — სასუფეველში ხარ.

შენი ქვადქცეული დედა.

ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, შოთა რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, გამოჩენილი ქართველი ხუროთმოძღვარი, ქ. თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორი

შოთა დიმიტრის ძე ყავლაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნანა ბიჭიაშვილი, შვილები შოთიკო, ვახტანგი, ძმები ილო, ანზორ ყავლაშვილები, ცოლისძმა თემურ ბიჭიაშვილი, რძლები რუსუდან ჟორჟოლიანი, თამარა კვაჭაძე, მაყული დადუნაშვილი, თათული ბეჟანიშვილი, ძმისწულები ნუნუ, თამუნა, გიორგი, ნანი, დიტო, მაია, ნათია, ლევან ყავლაშვილები, სიძეები ელიკო თავართქილაძე, გიორგი ვაჩნაძე, გიორგი ქოჩლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა დიმიტრის ძე ყავლაშვილი

პანაშვიდი 14, 15 XII, 4 ს. დაკრძალვა 16 XII, 2 ს. დიდუბის პანთეონში.

მისამართი: ბარნოვის ქ. 181.

შვილი აიდა მინაძე, სიძეები ჯემალ ქარუმიძე, კახა გილაური, შვილიშვილები მანანა ქარუმიძე, ხათუნა ჩხაიძე, შვილთაშვილები ვახიკო, ნიკა, მზია, გვანცა, დათო, რძლები ლენა კალანდაძე, ზულიკო გეგუჩაძე, მძახალი ნინო დოგრაშვილი, დეიდაშვილები თამარ კანდელაკი, ნანა ჩახაია, მანანა, დაზი დიდებულიძეები, ძმისწულები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ანტონის ასული შენგელია-მინაძე

პანაშვიდი 15, 16 XII, 15 ს. გამოსვენება 17 XII, 14 ს.
ჭავჭავაძის პრ. 27, I სადარბაზო, III სართული.

მეუღლე ციალა, შვილები ბელა, ბადრი, შვილიშვილები ანა, გიორგი, სიძე დათო სირაძე, დები ელიკო, ლიანა, ძმები გივი, თედო, რძლები ნანა, ჟიოლა, ლილი, ცოლისდები ოჯახებით, ძმისწულები ქეთინო, გია, პაატა, ზაზა, გოგა, ლელა, ლალი, ირმა, ბიძა ავთანდილი, დეიდა ჟუჟუნა, დისწულები მარინა, ირინა, ზვიჩა, მარიკა, ვახო, დეიდაშვილები დათო, ლიანა, ციცინო, გენიკო, ბიძაშვილები თამაზი, როინი, იურა, დოდო, აზა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალერიან გრიგოლის ძე ბარკალაია

პანაშვიდი 13 XII, 8 ს. გამოსვენება 14 XII, 2 ს. ლვოვის ქუჩა, 8.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის სამდივნოს ინსპექტორი

იური ტიტეს ძე თარგამაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ამერიკული კომპანიის „ჯორჯიან ენტერპრაიზ"-ის წარმომადგენლობა საქართველოში
გთავაზობთ სწავლებას გარანტიით და ყველაზე შეღავათიან ფასებში ნიუ-იორკის უცხო ენების საერთაშორისო ინსტიტუტში, სადაც თქვენ ინგლისურ ენასთან ერთად გექნებათ შესაძლებლობა შეისწავლოთ კომპიუტერზე მუშაობა.
ცნობებისათვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, XI სართული, ოთახი 8.
ტელეფონები: 99-84-12, 23-64-56 (საღამოს)

მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

გამომცემელი - შპს „პრესა"

რედაქციის მისამართი: [illegible], თბილისი, 6. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი [illegible]. ფასი [illegible].

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.